სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 19 ივლისი 2005 №162 (2485) ფასი 50 თეთრი



მოჯადოებული

ალბერტო ჯილარდინო მილანში გადავიდა

ეს უკვე ოფიციალურია — გუშინ, იტალიური ფეხბურთის ახალამოსული ვარსკვლავი ალბერტო ჯილარდინო „პარმადან“ „მილანში“ 24 მილიონ ევროდ გადავიდა. მან კონტრაქტს 2010 წლის 30 ივნისამდე მოაწერა ხელი და ამის შესახებ სატელევიზიო თოქ-შოუ „სტუდიო მილანს“ პირდაპირ ეთერში ტელეფონით თავად მოახსენა:

„ბედნიერი ვარ, რომ მეტისმეტად ხანგრძლივი მოლაპარაკებები კარგად დასრულდა. რაც „მილანთან“ არის დაკავშირებული, ყველაფერი მომაჯადოვებელია: კლუბი, მისი ისტორია, მისი დღევანდელი ფეხბურთელები... კიდევ მკითხავენ, რატომ ავირჩიე მაინცდამაინც ეს გუნდი? მაშინ ასე ვუპასუხებ, „მილანი“ ევროპის უძლიერესი გუნდია. მისი შავ-წითელი მაისურის ჩაცმა ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება“.

ახლა შენი დროა

დღეს დინამოს BEKO დაებედება

გულშემატკივარი უნდა გავახაროთ — თქვა გუშინ დინამოელთა დამრიგებელმა კახა ცხადაძემ და დღეს მისი გუნდისგან მწვრთნელის დანაპირების შესრულებას ველით — საქართველოს ჩემპიონმა ესტონეთის რჩეულ „ლევადიას“ უნდა მოუთავოს საქმე, თუ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა სურს. ერთი კვირის წინ „ლევადიამ“ ტალინში „დინამოს“ 1:0 მოუგო და ახლა თბილისელთა ჯერია. დინამო დღეს პირველად ჩაიცმევს ახალი სპონსორის, BEKO-ს მაისურას და ვნახოთ, როგორ დაებედება ის.

ლევადიას ავი თვითმფრინავი

ტალინში გამგზავრებამდე თბილისის „დინამოს“ პრობლემები ხომ გახსოვთ, ესტონელებმა ვიზების გაცემა რომ დააგვიანეს? ჰოდა, ახლა „ლევადიამ“ დააგვიანა თბილისში ჩამოსვლა და გუშინ სულაც უვარჯიშებელი დარჩა... თბილისისკენ აფრენილი „ლევადიას“ თვითმფრინავი ტექნიკური გაუმართაობის გამო ოც წუთში ტალინის აეროპორტშივე დაშვებულა და ესტონელებსაც სხვა ლაინერი გახდომიათ საშოვნელი.

მეორე გვერდი

ყველა ნახტომში ოქრო?!

ჩინური სინქრონომეტრი ჩაირთო

3

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 19 ივლისი. 19.00 საათი. ეროვნული

დინამო — ლევადია

კახა ცხადაძე: დინამო ცივილიზებულად შეუტევს

დღეს თბილისის „დინამო“ პირველად წარდგება შინ ახალ ევროსეზონში — მისი მეტოქე ესტონეთის ჩემპიონი „ლევადიაა“, რომელთანაც ტალინში პირველი მატჩი 0:1 წააგო. „დინამოში“ იმედიანად არიან, იგრძნობა თავდაჯერება და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებაც კი. და მართლაც, დღევანდელ მატჩში ფავორიტი „დინამოა“.

დღეს საინტერესო ამბავი მოხდება — ვნახოთ, როგორია კახა ცხადაძის ნაწრთობი „დინამო“. იმავ ცხადაძის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, გუნდი ერთი თამაშით არ ფასობს, მაგრამ დღეს „ერთი თამაში“ აღარაა, „დინამო“ მეორედ შეხვდება „ლევადიას“.

ცხადაძეს იმედი აქვს, რომ ისეთები, ვისაც „დინამოს“ გამარჯვება არ გაუხარდება, ცოტანი არიან, ჩვენ კი იმის იმედიც გვაქვს, რომ ისეთებიც ცოტანი არიან „დინამოში“, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა რომ გაუჭირდეთ.

ისიც გვახსოვს, რომ შარშან „დინამომ“ მანამდე შეუძლებელი შეძლო — ევროსარბიელს ზამთრამდე შერჩა და ახლა ჩვენს საკლუბო ფლაგმანს მეტი თუ არა, ნაკლები აღარ მოეთხოვება.

გუშინ კი დინამოელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა. მწვრთნელ-ჟურნალისტების კითხვა პასუხი ასეთი გახლდათ...

— ამ მატჩისთვის ყველა ის ფეხბურთელი ემზადება, „ლევადიასთან“ პირველი მატჩისთვის რომ იყვნენ ჩვენ განკარგულებაში, მხოლოდ გია ნერგაძე გამოგვაკლდა — მას მუხლის ჯვარედინი იოგები გაუწყდა და საოპერაციოა. ნერგაძემ წინასასეზონო შეკრების საკონტროლო მატჩები ითამაშა და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. ის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებოდა და მისმა არყოფნამ ჩვენს თამაშს დაღი დაასვა. „ლევადიასთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის — ესტონელებთან პირველ მატჩში არასასურველი შედეგი ვაჩვენეთ და ახლა გულშემატკივრები უნდა გავახაროთ.

— „ლევადიასთან“ ტალინური მატჩის შემდეგ საკმაო დრო გავიდა — ცივ გონებაზე როგორ აანალიზებთ იმ მატჩს?

— დაწყნარებული, ცივ გონებით იმ მატჩის ვიდეოჩანაწერს ოთხჯერ ვუყურე. „დინამომ“ თავისი თამაში ვერ აჩვენა და „ლევადიამაც“ ამიტომ მოგვიგო. მიუხედავად უსახური თამაშისა, არ უნდა წაგვეგო. ახლა მთავარია, ყველაფერ აქედან სწორი დასკვნები გავაკეთოთ. ტალინურ მარცხს რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, უმთავრესი კი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო.

— „დინამო“, ალბათ, ცალსახად შემტევ ტაქტიკას აირჩევს...

— ტალინში მსაჯმა ალმაშფოთებელი 11-მეტრიანი დანიშნა. „ლევადიამაც“ ჩვენს კარში პირველად 43-ე წუთზე დაარტყა — ასეთი იყო ამ გუნდის პოტენციალი. თუმც იმ შეხვედრაში ჩვენი შეტევითი პოტენციალიც სუსტი იყო. ახლა შეტევაში თავქუდმოგლეჯით წასვლას არ ვაპირებთ, ჩვენ განკარგულებაში 90 წუთია, ცივილიზებულად, წყნარად უნდა გავაკეთოთ საქმე, მაგრამ მეტოქეს პირველივე წუთებიდან უნდა ვაჩვენოთ ძალა და ტერიტორიული უპირატესობა მოვიპოვოთ.

— პირველ მატჩთან შედარებით „დინამოს“ შემადგენლობაში ცვლილებები იქნება?

— კი, ცვლილებები მართლაც იქნება.

— „ლევადიამ“ ტალინურ მატჩში დაგვანახა, რომ თითქოს თანამედროვე ფეხბურთის თამაშს ცდილობს...

— ტალინში მეც მომეჩვენა, რომ „ლევადიას“ ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ვიდეოჩანაწერმა დაგვანახა, რომ ბურთს უფრო მეტ ხანს ჩვენ ვფლობდით, უბრალოდ, გადაცემებში გვქონდა წუნი. ისე, ახლა ყველა ცდილობს სწორი ფეხბურთის თამაშს. „ლევადია“ თანაბრად დაბალანსებული გუნდია და მხოლოდ მის მეკარეს გამოვარჩევდი — ის კარგად ირჩევს პოზიციას.

— თქვენი გუნდის ახლანდელი მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?

— დარწმუნებული ვარ, სწორი გზით მივდივართ. სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელი გვიან შემოგვიერთდა და ამან ცოტათი შეგვაფერხა. გუნდი ერთი მატჩით არ ფასობს, დანგრეულის აშენებას დრო სჭირდება.

— „დინამოს“ კაპიტანი ვინ იქნება?

— კაპიტანი ირაკლი ზოიძეა, ვიცე-კაპიტანი სერგო ორბელაძე.

— აქვს ახლანდელ „დინამოს“ ის რესურსი, რომ წლეულს არანაკლებ შედეგს მიაღწიოს, ვიდრე შარშანდელ ევროსარბიელზე?

— „დინამოში“ შარშან ეროვნული ნაკრების ხუთი ფეხბურთელი თამაშობდა, ახლა კი ახალი გუნდი გვყავს, რომელიც მომავალში უკეთეს შედეგს მიაღწევს.

დავით თავართქილაძე

ისლანდია

პრემიერდივიზიონი. XI ტური

კეფლავიკი 2:2 ვესტმანაეიარი

2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური	B ჯგუფი. I ტური
სერბეთი 4:2 გერმანია	საფრანგეთი 1:1 ინგლისი
ჩრდ. ირლანდია 0:1 საბერძნეთი	ნორვეგია 2:0 სომხეთი

ცვლილება დინამოში

ბეკო ბორჯომის მაგივრად

BEKO — ელექტროსაქონლის მწარმოებელი ფირმა ერთი წლით უსპონსორებს თბილისის „დინამოს“ — დღევანდელი მატჩიდან დინამოელებს მაისურაზე BORJOMI-ის ნაცვლად BEKO ეწერებათ.

გუშინ კლუბისა და ამ კომპანიის კონტრაქტს ჟურნალისტების თვალწინ მოეწერა ხელი. „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ ხელმოწერის შემდეგ თქვა, იმედია, BEKO იღბლიანი გამოდგება „დინამოსთვის“ და მაისურა BEKO-ს წარწერით დიდხანს დაგვჭირდება საერთაშორისო დონეზე გამოსვლისთვისო. BEKO-ს წარმომადგენელმა ქემალ კაიზალლუმ კი განაცხადა, ჩვენც ძალიან კმაყოფილები ვართ ამ ხელშეკრულებით, სანამ BEKO აქ იქნება, ყოველთვის „დინამოს“ გვერდში დავდგებითო.

დავით თავართქილაძე

ლევადია აფრინდა და დაფრინდა

ორივე თვითმფრინავი თურმე ლატვიის ავიახაზებისაა, სადაც ჩარტერული რეისისთვის მათი დაქირავება გაცილებით იაფი ყოფილა, ვიდრე ესტონეთში. ის თვითმფრინავი კი, რომლითაც „ლევადია“ გვესტუმრა, რიგიდან ჯერ ტალინში ჩაფრინდა, გუნდი აიყვანა და თბილისში ათი საათისთვის დაეშვა. ესტონელები 40-კაციანი დელეგაციით ჩამოვიდნენ, გუნდს თან ახლავს ათამდე ჟურნალისტი და ხუთი-ექვსი ერთგული ქომაგი. ყველანი სასტუმრო „ბატესტაში“ გაჩერდნენ და ზოგიერთმა საქართველოს ნაკრების თავკაცის ალენ ჟირესის გაცნობაც მოახერხა, რომელიც იქვე ცხოვრობს.

„ლევადია“ უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდა, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ბრექით. სტუმრები საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ და როცა დღევანდელ მატჩზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, ფავორიტად „დინამოს“ ამბობდნენ.

დღეს, შესაძლოა, ითამაშოს „ლევადიას“ მთავარმეგოლე ინდრეკ ზელინსკიმ, ვინც ტრავმის გამო პირველი შეხვედრა გამოტოვა.

— ვნახოთ, მწვრთნელი რას გადაწყვეტს, ყოველ შემთხვევაში, სათამაშოდ მზად ვარ. „დინამოსთან“ ძალიან გაგვიჭირდება, მით უმეტეს, მგზავრობით ძალიან დავიღალეთ და ვარჯიშიც ვერ მოვახერხეთ. მატჩის წინ ფავორიტად „დინამო“ მიმაჩნია, თუმც ჩვენც ჩვენსას ვეცდებით — გვითხრა ზელინსკიმ დამტვრეული რუსულით.

ამასობაში კი „ლევადიას“ მწვრთნელმა ტარმო რუუტლიმაც ივახშმა...

— „ლევადიას“ მთავარი მიზანი ტალინური ანგარიშის შენარჩუნებაა, თუმც ერთ გოლს თბილისშიც თუ გავატანთ, მთლად უკეთესი იქნება.

— ერთი გოლიც თუ გაიტანეთ, შემდეგ ეტაპზე გასულხართ...



ტარმო რუუტლი

— ასე არ ვფიქრობ, ძალიან რთული მატჩის მოლოდინში ვარ. „დინამო“ საკუთარი ქომაგის თვალწინ გაცილებით ძლიერად ითამაშებს, ვიდრე ტალინში.

— თვლით, რომ „ლევადიამ“ ტალინში კარგად ითამაშა?

— დიახ, ჩემმა ფეხბურთელებმა დავალება შეასრულეს და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

— ზელინსკი ითამაშებს?

— ძირითადში იქნება თუ არა, ვერ გეტყვით, თუმც ის აუცილებლად ითამაშებს.

— პირველი მატჩის ანგარიშიდან გამომდინარე, თბილისში „ლევადია“ აქცენტს კონტრშეტევებზე გააკეთებს?

— ვნახოთ, რის საშუალებასაც მეტოქე მოგვცემს, ისე ვითამაშებთ. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

— ფიქრობთ, რომ თბილისში დაგვიანებით ჩამოსვლა გუნდის თამაშზე აისახება?

— დღეს საკმაოდ ვინერვიულეთ და დავიტანჯეთ, მთელი დღე აეროპორტში და თვითმფრინავში გავატარეთ, ვერც ვივარჯიშეთ. თამაშის წინ კი ეს სასიამოვნო არ არის.

კობა ინასარიძე

სიახლე — ნოდარიუსი
კენჭი ყარეს, კალენდარი გვახარეს

30 ივლისს საქართველოს ჩემპიონატის ძველ-ახალი ფორმაციის უმაღლესი ლიგა დაიწყებს. 16-გუნდიანობა ადრეც გვახსოვს, მაგრამ ახლა გეოგრაფიაც გაფართოვდა — სოხუმის „დინამოც“ და „ცხინვალიც“ მარაქაში არიან და ყველას აინტერესებს, როგორ გაამართლებს ნოდარ ახალკაცის პროექტი.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კალენდარი შედგა, უფრო სწორად, გუნდები დაწყვილდნენ და ახლა თარიღებიღაა დასაზუსტებელი. კენჭისყრა სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, გენერალურმა მდივანმა გრიგოლ ცაავამ და პროფლიგის მესვეურებმა ჩაატარეს. ბუნებრივია, კლუბების წარმომადგენლებიც იქ იყვნენ და თუ რაიმე პრეტენზიები ექნებოდათ, თამამად გაცხადება შეეძლოთ. ერთი სიახლეც: კენჭისყრას ნოტარიუსიც ესწრებოდა და ახალკაცმა გვითხრა, ამგვარი პროცედურებისას ნოტარიუსი ყოველთვის ადგილზე გვეყოლებაო.

თითოეულ კლუბს თავისი რიცხვი (1-დან 16-მდე) ერგო, რომლის მიხედვითაც კენჭისყრა უნდა გამართულიყო. „ტორპედოს“ 1 ნომერი შეხვდა, „ზესტაფონს“ კი — 9, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ქუთაისელები შინ ითამაშებენ, იმ ტურში ფეროელებს სტუმრად მოუწევთ თამაში. ქუთაისი და ზესტაფონი მეზობელი ქალაქებია და იქაურ გულშემატკივრებს ორივე მატჩზე მოუნდებათ წასვლა, ამიტომაც ფედერაციამ „ტორპედოს“ ხელმძღვანელების თხოვნა გაითვალისწინა და ამ ორი გუნდის საშინაო მატჩები გააცალცალკევა.

ერთიც: „ზესტაფონის“ თხოვნით, გუნდი სასტარტო ორ ტურს სტუმრად გამართავს, რადგან ახლა ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და შესაძლოა, 30 ივლისამდე არ მოესწროს დამთავრება.

16 გუნდიდან 6 თბილისში ითამაშებს, ამიტომაც გუშინ გადაწყდა, რომ ერთ ტურში სამი მათგანი შინ იბურთავებს, სამიც სტუმრად (თუ, რა თქმა უნდა, ერთმანეთის არ ხვდებიან). სავარაუდოდ, პირველ წრეში ასევე თბილისში ითამაშებს „ბორჯომიც“, თუმც არც ეს იქნება პრობლემა — თითოეული ტურის რვა მატჩი ორ (ზოგჯერ სამ) დღეზე გადანაწილდება.

ტურები გარკვეულია, თუმც სრულ კალენდარს თავის თარიღებიანად უახლოეს დღეებში მოგვაწვდიან. უფრო ზუსტად, კალენდარს 22 ივლისს ალმასკომის სხდომა დაამტკიცებს. 30, 31 ივლისს (და ეგებ 1 აგვისტოს) მატჩები 17.30 საათზე დაიწყება, აგვისტოში კი 17 საათზე.

ნაკენჭისყრევს ნოდარ ახალკაცმა დალაგებული ჩემპიონატი უსურვა ყველას და ჩაწყობილი მატჩების საფრთხეზეც ილაპარაკა:

— ამის წინააღმდეგ მხოლოდ ფედერაცია ვერ იბრძოლებს. კლუბების ხელმძღვანელებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და თუ გარიგების ფაქტს აღმოაჩენენ, უნდა გვაცნობონ. ჟარგონით რომ ვთქვა, ეს ჩაშვებას არ ნიშნავს. ახლა გაჩუმების დრო არაა.

...რაც შეეხება საწევროებს, უმაღლესი ლიგის კლუბებს 30 ათასი ლარი ექნებათ გადასახდელი, პირველლიგელებს კი — 15 ათასი. საწევრო თანხებს ფედერაცია მიიღებს და გადაანაწილებს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფლიგას უსაქმოდ ვტოვებთ. მე ყოველთვის ვამბობ, რომ პროფლიგასთან მჭიდრო თანამშრომლობა მსურს.

...ბავშვთა ლიგა 1989, 1990 და 1991 წლებში დაბადებულებს შორის ჩატარდება. მგონი, არავინ იქნება იმის მომხრე, რომ 1987 და 1988 წლებში დაბადებულებმა ბავშვებში ითამაშონ. მათთვის მისწრება უმაღლესი, პირველი და რეგიონალლიგაა, მაგრამ თუ იქ ვერ მოხვდებიან, დარასელიას, მესხის, ჩოხელის თუ მეტრეველის თასზე შეუძლიათ გამოსვლა.

ილია ნანობაშვილი

სიონმა თამაში და ბოლქვაძე მოიგო

ბოლნისის „სიონი“ კვლავ გრიგოლეთშია და 22 ივლისამდე საახალსეზონო მზადებას სწორედ იქ გაივლის. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა მორიგ ტესტ-თამაშში „ბათუმს“ 2:0 მოუგო ბესიკ ქარდავასა და გიორგი ქუცურუას გოლებით. გუშინ კი ბოლნისელებმა „ბორჯომსაც“ მოუგეს — 5:3.

„სიონში“ კვლავ ბევრი ფეხბურთელი ვარჯიშობს, რომელთაგან ბევრს გაუშვებენ. უკვე გაშვებულთა შორისაა „ვიტ ჯორჯიას“ ყოფილი ფორვარდი ერეკლე მერებაშვილი, რომელიც გასული სეზონის მეორე ეტაპზე უგუნდოდ იყო, „სიონში“ კი ამ ზაფხულს გადავიდა და, როგორც ჩანს, დროებით.

სამაგიეროდ, ბოლნისური კლუბი ასევე ექსვიტჯორჯიელ და შარშან ქუთაისის „ტორპედოში“ ნათამაშევ მცველ ლევან მერებაშვილს აკვირდება. და მთავარიც: უკვე „სიონში“ ვარჯიშობს ნახევარმცველი დავით ბოლქვაძე და, სავარაუდოდ, იგი ტორპედოელებს საუეფასთასოდ ბელარუსის ბატესთან სათამაშოდ აღარ წაჰყვება. ბოლქვაძის სახით ბოლნისელებმა ნაღდად კარგი ძალა შეიმატეს — მან ქუთაისში შარშან მშვენიერი სეზონი ჩაატარა.

დავით ბოლქვაძე (ბურთით) ახალ სეზონს ბოლნისში გაატარებს

ილია ნანობაშვილი

საქართველოს 17 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
კალენდარი

პირველი წრე

პირველი ტური
სავარაუდო დღეები:
30, 31 ივლისი, 1 აგვისტო
ტორპედო – ამერი
ლოკომოტივი – სიონი
დილა – სპარტაკი
ბათუმი – ბორჯომი
კოლხეთი – ვიტ ჯორჯია
დინამო (სოხუმი) – ცხინვალი
კახეთი – დინამო (თბილისი)
თბილისი – ზესტაფონი

მეორე ტური
სავარაუდო დღეები:
6-7 აგვისტო
ამერი – ზესტაფონი
დინამო (თბილისი) – თბილისი
ცხინვალი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – დინამო (სოხუმი)
ბორჯომი – კოლხეთი
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – დილა
ტორპედო – ლოკომოტივი

მესამე ტური
სავარაუდო დღეები:
19, 20, 21 აგვისტო
ლოკომოტივი – ამერი
დილა – ტორპედო
ბათუმი – სიონი
კოლხეთი – სპარტაკი
დინამო (სოხუმი) – ბორჯომი
კახეთი – ვიტ ჯორჯია
თბილისი – ცხინვალი
ზესტაფონი – დინამო (თბილისი)

მეოთხე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – დინამო (თბილისი)
ცხინვალი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – თბილისი
ბორჯომი – კახეთი
სპარტაკი – დინამო (სოხუმი)
სიონი – კოლხეთი
ტორპედო – ბათუმი
ლოკომოტივი – დილა

მეხუთე ტური
სავარაუდო დღეები: ?
დილა – ამერი
ბათუმი – ლოკომოტივი
კოლხეთი – ტორპედო
დინამო (სოხუმი) – სიონი
კახეთი – სპარტაკი
თბილისი – ბორჯომი
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
დინამო (თბილისი) – ცხინვალი

მეექვსე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – ცხინვალი
ვიტ ჯორჯია – დინამო (თბილისი)
ბორჯომი – ზესტაფონი
სპარტაკი – თბილისი
სიონი – კახეთი
ტორპედო – დინამო (სოხუმი)
ლოკომოტივი – კოლხეთი
დილა – ბათუმი

მეშვიდე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ბათუმი – ამერი
კოლხეთი – დილა
დინამო (სოხუმი) – ლოკომოტივი
კახეთი – ტორპედო
თბილისი – სიონი
ზესტაფონი – სპარტაკი
დინამო (თბილისი) – ბორჯომი

მერვე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – ცხინვალი
სპარტაკი – დინამო (თბილისი)
სიონი – ზესტაფონი
ტორპედო – თბილისი
ლოკომოტივი – კახეთი
დილა – დინამო (სოხუმი)
ბათუმი – კოლხეთი

მეცხრე ტური
სავარაუდო დღეები: ?
კოლხეთი – ამერი
დინამო (სოხუმი) – ბათუმი
კახეთი – დილა
თბილისი – ლოკომოტივი
ზესტაფონი – ტორპედო
დინამო (თბილისი) – სიონი
ცხინვალი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი

მეათე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – ბორჯომი
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ცხინვალი
ტორპედო – დინამო (თბილისი)
ლოკომოტივი – ზესტაფონი
დილა – თბილისი
ბათუმი – კახეთი
კოლხეთი – დინამო (სოხუმი)

მეთერთმეტე ტური
სავარაუდო დღეები: ?
დინამო (სოხუმი) – ამერი
კახეთი – კოლხეთი
თბილისი – ბათუმი
ზესტაფონი – დილა
დინამო (თბილისი) – ლოკომოტივი
ცხინვალი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – სიონი
ბორჯომი – სპარტაკი

მეთორმეტე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – სპარტაკი
სიონი – ბორჯომი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ცხინვალი
დილა – დინამო (თბილისი)
ბათუმი – ზესტაფონი
კოლხეთი – თბილისი
დინამო (სოხუმი) – კახეთი

მეცამეტე ტური
სავარაუდო დღეები: ?
კახეთი – ამერი
თბილისი – დინამო (სოხუმი)
ზესტაფონი – კოლხეთი
დინამო (თბილისი) – ბათუმი
ცხინვალი – დილა
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
ბორჯომი – ტორპედო
სპარტაკი – სიონი

მეთოთხმეტე ტური
სავარაუდო დღეები: ?
ამერი – სიონი
ტორპედო – სპარტაკი
ლოკომოტივი – ბორჯომი
დილა – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ცხინვალი
კოლხეთი – დინამო (თბილისი)
დინამო (სოხუმი) – ზესტაფონი
კახეთი – თბილისი

მეთხუთმეტე ტური
სავარაუდო დღეები: ?
თბილისი – ამერი
ზესტაფონი – კახეთი
დინამო (თბილისი) – დინამო (სოხუმი)
ცხინვალი – კოლხეთი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
ბორჯომი – დილა
სპარტაკი – ლოკომოტივი
სიონი – ტორპედო

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	ს	ტომი 0:0	90	გააფრთხილეს	15	1	1
რომან ახალკაცი	ლოკომოტივი	ს	ტომი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	ს	ტომი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	ს	ტომი 0:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
მიხეილ აშვეთია	როსტოვი	შ	ტორპედო 1:1	58	შეცვალეს	4	0	16
ვიტალი დარასელია	ალანია	შ	კრილია 2:0	90		13	1	12
ლევან გვაზავა	ალანია	შ	კრილია 2:0	0		5	0	12
ლადო ბურდული	ალანია	შ	კრილია 2:0	90	გააფრთხილეს	9	0	12
დავით კვირკველია	ალანია	შ	კრილია 2:0	0		9	0	12
ჯაბა კანკავა	ალანია	შ	კრილია 2:0	0		8	0	12
გიორგი შაშიაშვილი	ალანია	შ	კრილია 2:0	0		6	0	12
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	სატურნი 0:0	90		11	0	3
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
გიორგი დემეტრაძე	მეტ. დონეცკი	შ	სტალი 5:0	75	შეცვალეს, 2 გოლი, საგ. პასი			
		ს	ზაკარპატია 0:0	90		2	2	2
ლევან ცქიტიშვილი	მეტ. დონეცკი	შ	სტალი 5:0	83	შეცვალეს			
		ს	ზაკარპატია 0:0	90		2	0	2
ირაკლი მოდებაძე	მეტ. ზაპოროჟე	ს	დინამო (კიევი) 1:1	0	ტრავმირებულია			
		შ	ვოლინი 0:1	0	ტრავმირებულია	0	0	13
არჩილ ბაჯელიძე	მეტ. ზაპოროჟი	ს	დინამო (კიევი) 1:1	0				
		შ	ვოლინი 0:1	0		0	0	13
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	ს	ილიჩევეცი 2:0	90	1 გოლი, საგოლე პასი			
		შ	კრივბასი 1:0	90	გოლი, გააფრთხილეს	2	2	1
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	ს	ხარკოვი 1:1	29	შეცვლაზე ითამაშა, გოლი			
		ს	მეტალისტი 0:1	31	შეცვლაზე ითამაშა	2	1	12
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	ს	მეტ. დონეცკი 0:5	90				
		შ	ჩერნომორეცი 0:1	90		2	0	16
ავსტრია. მაქსიმუნდესლიგა								
დავით მუჯირი	შტურმი	ს	რაპიდი 3:2	86	შეცვალეს, 1 გოლი, გააფრთ.	1	1	2
შვეიცარია. სუპერლიგა								
ლადო ახალაია	ციურიხი	ს	სენტ გალენი 3:1	0	ტრავმირებულია	0	0	1

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ფეხბურთი გულში

გოჩა ჯამარაულის თამაში დამთავრდა



გოჩა ჯამარაულმა კვიპროსის „ანართოსისიდან“ წამოსვლის შემდეგ ფეხბურთის თამაში დაამთავრა... გოჩამ, რომელმაც წინა სეზონი თბილისის „დინამოში“ ჩაამთავრა, თუმც ბოლო რამდენიმე მატჩი გამოტოვა, „ანართოსისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი ერთი თვის წინ გააფორმა და კვიპროსელებს ავსტრიულ შეკრებაზეც გაჰყვა. მოულოდნელი ამბავი კი მერე მოხდა — კვიპროსზე დაბრუნებულმა გოჩამ გუდა-ნაბადი აიკრა და თბილისში ჩამოვიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით „ანართოსისის“ მწვრთნელმა ვერაფერი გვითხრა, გუნდის დატოვების მიზეზი თავად გოჩას ჰკითხეთო.

ჩვენც ვკითხეთ...

— ჩემი ფეხბურთი დამთავრდა, „ანართოსისში“ ვიგრძენი, რომ მაღალ დონეზე თამაშს ვეღარ შევძლებდი და გუნდიც ამიტომ დავტოვე — გვიპასუხა გოჩა ჯამარაულმა.

— კი მაგრამ, კვიპროსის ჩემპიონატი არც ისე მაღალი დონისაა...

— რაც უნდა იყოს, თავს შევეტყვე, რომ ძველებური შემარიელებით თამაში აღარ გამომდიოდა, „თანაც კვიპროსზე აუტანელი ჰავაა, ძალიან ცხელა. აქეთ მცირე ოჯახური პრობლემებიც მქონდა და როცა დავფიქრდი, თამაშისთვის თავის დანებება გადავწყვიტე...

— და ეს გადაწყვეტილება საბოლოოა?

— ფეხბურთი ჩემს გულში არასდროს დამთავრდება, მოედანზე კი — მორჩა!

კოგა ინასარიძე

დემეტრაძის ცხრიანები

მეტალურგი კარგია, ევროპა უკეთესი იქნება

დონეცკის „მეტალურგის“ ქართველი თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე მალე უკრაინას დატოვებს და კარიერას ან რუსეთში, ან ევროპის ერთ-ერთ სოლიდურ გუნდში გააგრძელებს.

რუსეთიდან დემეტრაძის მსურველი ვლადიკავკაზის „ალანიაა“, რომლის ხელმძღვანელობაც გიორგის გადაბირებით სერიოზულადაა დაინტერესებული. სოლიდურ ევროპულ გუნდზე კი ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან მისი გამხელა თავად ფეხბურთელს არ სურს, თუმც ამბობს:

— გაუთვალისწინებელი თუ არაფერი მოხდა, ერთ-ორ კვირაში „მეტალურგზე“ გაცილებით ძლიერ გუნდში გადავალ. სეზონის დაწყებამდე რამდენიმე წინადადება მივიღე და ახლა ვფიქრობ.

— ითქვა, გიორგი დემეტრაძის „ალანიაში“ დაბრუნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი საქმეაო...

— არა, გადაწყვეტილი არაფერია, ჯერჯერობით კლუბები მოლაპარაკების პროცესში არიან. რამდენიმე დღის წინ „ალანიას“ პრეზიდენტი დამიკავშირდა და ვლადიკავკაზში დაბრუნება შემომთავაზა. მათ ჩემი მოთხოვნები კარგად იციან და ვნახოთ, ამ საქმიდან რა გამოვა. ისე კი, მაინცდამაინც არ მხიბლავს „ალანიაში“ დაბრუნების პერსპექტივა. როგორც გითხარი, შესაძლოა, უკეთეს გუნდში გადავიდე. იქნებ ეს ისევ რუსული გუნდი იყოს, მაგრამ „ალანიაზე“ გაცილებით მაღალი დონის.

— ესე იგი, „მეტალურგიდან“ წასვლაზე სერიოზულად ფიქრობ.

— რატომ არ უნდა ვიფიქრო, როცა უკეთესი გუნდები მეპატიჟებიან?! არც „მეტალურგია“ ისეთი გუნდი, თვალი გაქცევაზე მეჭიროს, მით უმეტეს, წლეულს უკრაინულ გრანდებთან გაჯიბრებას ვაპირებთ, მაგრამ მაინც დასავლეთ ევროპაში თამაში მიჯობს.

— ისე, „მეტალურგმა“ სეზონის დაწყებამდე ორი ფეხბურთელი მართლაც სოლიდურ გუნდებში გაუშვა.

— მენდოზა „მარსელში“ წავიდა, ტურე — „ოლიმპიაკოსში“. ადრე მხოლოდ კიევის „დინამოდან“ და „შახტარიდან“ მიდიოდნენ ასეთი დონის გუნდებში, ახლა კი „მეტალურგიდანაც“ გაკეთდა უკრაინისთვის ხმაურიანი ტრანსფერები.

— გამოდის, რიგში შენ ხარ.

— ასე გამოდის. „მეტალურგს“, ალბათ, მალე დავტოვებ.

— იქამდე კი მაინც „მეტალურგზე“ გკითხავ. გრანდებთან გაჯიბრებას ვაპირებთო. რეალურად გეჩვენება, რომ „დინამოსა“ და „შახტარს“ აჯობებთ?

— რატომაც არა, ჩვენ შორის ისეთი სხვაობა აღარ არის, ორი წლის წინ რომ იყო. უკვე „მეტალურგსაც“ ჰყავს მაღალი დონის ფეხბურთელები. მაგალითად, ლევან ცქიტიშვილი, რომელიც ბუნდესლიგიდან ჩამოიყვანეს. უკრაინაში ბევრი არაა ბუნდესლიგაგამოვლილი ფეხბურთელი.

— ამ სეზონში სათამაშო ნომერი რატომ შეიცვალე?

— რა ვიცი, პირველი ნომერი ან 99 მსურდა. 1-იანი არ შეიძლებაო და მეც 99 ავიღე. იქნებ, რუსეთის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირიც გავხდე.

— ამ მხრივ ჯერჯერობით საქმე კარგად გაქვს — ორ თამაშში ორი გოლი.

— მათგან ერთი ლევან ცქიტიშვილის პასით გავიტანე. გატანა კიდევ შემეძლო, მაგრამ აღარ გამომივიდა, კარში ზუსტად ვერ მოვარტყი. ვნახოთ, მთავარია, კარგი პასის გამკეთებელი იყოს გუნდში, ასეთი კი ცქიტიშვილია.

კოგა ინასარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი მზადაა
სეზარი ლაციოში რჩება



სეზარი „ლაციოს“ ერთგულია

რომის „ლაციოს“ კაპიტანი აპარესიდო სეზარი მზად არის, გუნდთან კონტრაქტი გაახანგრძლივოს. მხარეებს შორის მოქმედ შეთანხმებას ვადა მომავალ ზაფხულს გასდის და ბოლო დროს ისევ ამბობენ, შეიძლება ბრაზილიელმა გუნდი გამოიცვალოსო. შეგახსენებთ, რომ ადრე მის სახელს „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ უკავშირებდნენ.

სეზარი: „მზად ვარ, კონტრაქტი გავახანგრძლივო და ეს კლუბსაც სურს. მართალია, მომავალ ზაფხულამდე დიდი დროა, მაგრამ ვეცდებით, ყველაფერი რაც შეიძლება, მალე მოვაგვაროთ“.

როგორც იცით, აქტიურად საუბრობენ „ლაციოს“ კიდევ ერთი ლიდერის, მარჯვენა მცველ მასიმო ოდოს „მილანში“ შესაძლო გადასვლაზე. ამის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, თუმც რომაელთა პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ განაცხადა, ტრანსფერზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ნაადრევიაო.

„მილანელთა ინტერესის შესახებ არაფერი ვიცი. მხოლოდ ჭორები წავიკითხე. მასიმოს „სან სიროზე“ გადასვლა სურს, მაგრამ ტრანსფერისთვის ორმხრივი თანხმობაა საჭირო. თანაც „ლაციოს“ გეგმებში წამყვან მოთამაშეებთან განშორება არ შედის, პირიქით, ახალი სეზონის დაწყებამდე შვიდი ფეხბურთელის დამატებას ვგეგმავთ“ — აღნიშნა ლოტიტომ.

„ლაციოს“ ერთ-ერთი ახალი შენაძენი კი შესაძლოა, ბერნარდო კორადი გახდეს. „ვალენსიას“ ფორვარდის „სტადიო ოლიმპიკოზე“ დაბრუნების შესახებ ისევ ალაპარაკდნენ. ის, რომ კორადი „მესტალიას“ ტოვებს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, მაგრამ მისი მსურველები ჯერჯერობით მაინცდამაინც დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან.

გიორგი ქაქაბაძე

ბრაზილიელი ემერსონი „იუვენტუსში“ პატრიკ ვიეირასთან წყვილში ითამაშებს

ემერსონმა პარტნიორი დაინახა

„იუვენტუსი“ მომავალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს. „ბებერი ქალბატონი“ გუშინ სერია C-ს ბინადარ „პავიას“ გაეჯიბრა და მიუხედავად ცოტა მძიმე დებიუტისა, საბოლოოდ მაინც იოლად იმარჯვა — 5:1. ამ შეხვედრაში 45 წუთი ითამაშა პატრიკ ვიეირამაც, რომელიც, ცხადია, ყურადღების ცენტრში იყო. ფრანგმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. ვთქვათ ისიც, რომ თავი გამოიჩინა გუნდის მეორე ახალწვეულმა ადრიან მუტუმაც, რუმინელის ანგარიშზე ერთი გოლია.

„ჩვენთვის ამ მატჩებს დიდი მნიშვნელობა აქვს. გუნდის სქემის ჩამოყალიბება და ფეხბურთელების ხელახლა შეთამაშება სწორედ აქედან იწყება. ყველაფერი კარგად მიდის. რაც შეეხება ვიეირას, იგი სწრაფია და ცდილობს, ყოველთვის ერთი შეხებით ითამაშოს. ორი აზრი არ არსებობს, პატრიკი ძალიან მაღალი კლასის პროფესიონალია“ — თქვა ტურინელთა თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

„ბებერი ქალბატონის“ ბრაზილიელი ლეგიონერი ემერსონი კი დანარჩენი თანაგუნდელების დარად ვიეირას მოსვლით ძალიან გახარებულია. მან ფრანგისადმი საქებარი სიტყვები არ დაიშურა და ისიც თქვა, არსად წასვლას არ ვაპირებო.

„წინა სეზონში ცოტა ვღელავდი, რადგან გვერდზე ჩემ პოზიციაზე მოთამაშე პარტნიორი არ მყავდა, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა და მიხარია. ფაბიო კაპელო შემპირდა მაღალი კლასის ნახევარმცველს და სიტყვა შეასრულა, თუმც ვიეირაზე ვერც ვიოცნებებდი. იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია“ — აღნიშნა ემერსონმა.

ბოლოს ისევ სატრანსფერო ბაზარს დავუბრუნდეთ. იტალიურ პრესაში იწერება, რომ ახლა „იუვენტუსს“ თუ ვინმე აკლია და ვინმეს შეძენას შეეცდება, ეს ანტონიო კასანოაო.

სხვათაშორის, გუშინწინ „რომას“ საწვრთნელ ბაზაზე, ტრიუმფიანად დაბრუნებულ კასანოს ლედიქალაქელთა ფანები საკმაოდ ცუდად შეხვდნენ. ბევრ მათგანს ხელში სხვადასხვა ტრანსპარანტი ეჭირა და ისმოდა შეძახილები — „წადი კაპელოსთან“...

გიორგი ქაქაბაძე

ჩელსი სასამართლოს კართან
დე ლუკასმა წარსული ამოქექა



ენრიკე დე ლუკასი

ესპანელი ფეხბურთელი ენრიკე დე ლუკასი ყოფილ კლუბ „ჩელსის“ 2 მილიონ 500 ათას გირვანქას ედავება. გუშინ ლონდონის სასამართლოში მან სარჩელი შეიტანა და სამ დღეში პასუხს ელის.

ჟუკ დე ლუკასი „ჩელსიში“ 2002 წლის ზაფხულში „ესპანიოლიდან“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი იყო, ამიტომ ლონდონელებს მის სანაცვლოდ არაფერი გადაუხდიათ.

პრემიერლიგაში გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, დე ლუკასს მოულოდნელად „პატრონი“ გამოუჩნდა — ბასკურმა „ალავესმა“ განაცხადა, ესპანელი ნახევარმცველი ჩვენ გვეკუთვნისო. ვიტორიული კლუბის პრეზიდენტი „ჩელსის“ დაემუქრა, ფულს თუ არ მოგვცემთ, უკანონო ტრანსფერისთვის ფიფაში გიჩივლებითო. ლონდონელებიც იძულებულნი გახდნენ, დე ლუკასი „ალავესისთვის“ დაეთმოთ. ამით კი ის გამოვიდა, რომ ესპანელ ნახევარმცველთან ოთხწლიანი კონტრაქტი ვადაზე ადრე გაწყვიტეს.

სწორედ ამის გამო უჩივლა ენრიკე დე ლუკასმა „ჩელსის“ და კომპენსაციას ითხოვს.

ვაჟა ხუციშვილი

ივო მოსკოვში
დინამო პორტუგალიურად ალაპარაკდა

მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელად ბრაზილიელი ივო ვორტმანი დანიშნეს. „ჟუვენტუდეს“ ყოფილი თავკაცი რუსეთის დედაქალაქში ზეგ ჩავა და კონტრაქტს გააფორმებს. ვორტმანს გუნდში ბლომად პორტუგალიელები დახვდებიან, რომლებიც მოსკოვურმა კლუბმა წლეულს შეიძინა.

მოგეხსენებათ, „დინამოს“ სეზონის დასაწყისში ოლეგ რომანცევი წვრთნიდა, მაგრამ იგი ორი თვის წინ გაათავისუფლეს. მის ნაცვლად კი დროებით ალექსანდრ კობელევი დანიშნეს, თუმც კლუბის პატრონი მაინც უკმაყოფილო დარჩა და კობელევი ვორტმანით შეცვალა.

მოსკოვის „დინამოს“ მფლობელმა ალექსანდრ ფედორიჩევმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად დაახლოებით 100 მილიონი დოლარი დახარჯა, გუნდს კი წინსვლა არ ეტყობა. ბოლო ტრანსფერი „დინამომ“ ერთი კვირის წინ მოაგვარა — „პორტუდან“ ჩემპიონთა თასის მფლობელი მანიშე რიბეირუ გადაიყვანა.

მოკლედ, აქამდე თუ რუს მწვრთნელებს უჭირდათ პორტუგალიელ მოთამაშეებთან ურთიერთობა, ახლა რუს ფეხბურთელებს მოუწევთ ვორტმანის პორტუგალიურის მოსმენა.

ვაჟა ხუციშვილი

სამოცი ათასი კვირაში
რაიტ-ფილიპსი ხუთი წლით

„მანჩესტერ სიტის“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი შონ რაიტ-ფილიპსი „ჩელსიში“ გადასვლაზე გუშინწინ დაყაბულდა, მაგრამ კლუბებმა ტრანსფერის ფინანსური მხარე არ გაამხილეს.

გუშინ კი შონ რაიტ-ფილიპსი მამობილთან, იან რაიტთან და აგენტ მიჩელ ტომასთან ერთად „სტემფორდ ბრიჯს“ ეწვია, სადაც ხუთწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ფეხბურთელი კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს, ხოლო „მანჩესტერ სიტის“ ბიუჯეტი 21 მილიონი გირვანქით გამდიდრდა.

არსენ ვენგერის „არსენალიც“ ცდილობდა იან რაიტის შვილობილისთვის „მეთოფეთა“ მაისური მოერგო, მაგრამ რაიტ-ფილიპსმა „ჩელსი“ ამჯობინა.

„ძალიან მოხარულები ვართ, რადგან გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა — თქვა ლონდონური კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კინიონმა — ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ახალგაზრდა, ნიჭიერი ინგლისელების შეძენას“.



შონ რაიტ-ფილიპსი გამდიდრდა

შონ რაიტ-ფილიპსი: „ნამდვილად არ ველოდი, ყველაფერი ასე უცბად თუ მოხდებოდა. დარწმუნებული ვარ, აქ უკეთესი ფეხბურთელი გავხდები. მსურს, რომ გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრო და ჯილდოები მოვიგო“.

ვაჟა ხუციშვილი

ლუკა ტონი ჩეზარე პრანდელის იმედია

ტონი 99

ლუკას საყვარელი არ ერგო

„ფიორენტინაში“ რამდენიმე დღის წინ გადასული ლუკა ტონი ჟურნალისტებს პირველად ესაუბრა „იების“ ფორვარდის რანგში.

ბოლო ორ სეზონში სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი თავისი არჩევანით კმაყოფილია, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ექნება

„შემოთავაზება სხვა კლუბებისგანაც მქონდა, მაგრამ ფლორენციელთა თავკაც ჩეზარე პრანდელისთან საუბრის შემდეგ „ფიორენტინა“ ავირჩიე. ფლორენციელებს ამბიციური და პერსპექტიული კლუბი ჰყავთ მაღალი დონის მწვრთნელით. ახლა მეც ამ ყველაფრის ნაწილი ვარ. თავდასხმაში ჩემს გარდა, კიდევ სამი ჩინებული მოთამაშეა და ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლა მომიწევს. თავი საუკეთესოდ უნდა წარმოვაჩინო, რათა 2006 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსიც გამიჩხდეს“ — აღნიშნა ტონიმ.

ამჟამად ჩეზარე პრანდელის განკარგულებაში ოთხი ფორვარდია — ლუკა ტონი, ჯანკარლო პაცინი, ვალერი ბოჟინოვი და კრისტიან რიგანო. ბოლო დროს ამ უკანასკნელის ფლორენციიდან შესაძლო წასვლაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ 30 წლის ფეხბურთელი ამის გაკეთებას არ აპირებს.

რიგანოს მდგომარეობა განსაკუთრებით ტონის გამოჩენამ გაართულა, რადგანაც ორივე ერთნაირი სტილის ფორვარდები არიან. ტონიმ „ფიორენტინაშიც“ 9 ნომრიანი მაისურა ითხოვა, რომელიც სწორედ რიგანოს აცვია და მომავალ სეზონშიც ეცმება. „პალერმოს“ ყოფილი თავდამსხმელი კი 99 ნომერი იქნება.

კრისტიან რიგანო: „არასოდეს მითქვამს, რომ წასვლა მინდა. ახალი შენაძენებით კმაყოფილი ვარ და გუნდში ჩემი ადგილისთვის ბრძოლას ვაპირებ. რაც შეეხება მაისურას, ლუკას ვესაუბრე და ავუხსენი, რომ მუდამ 9 ნომერი ვიყავი და ამის შეცვლა არ მინდოდა. მან ყველაფერი გაიგო. ცხადია, მეც ასე მოვიქცეოდი. მაგალითად, მის კლუბში რომ გადავსულიყავი“.

ამასობაში, საბოლოოდ მოგვარდა კრისტიანო ლუპატელის ტრანსფერის საკითხი. „კიევოს“, „რომასა“ და უკვე „ფიორენტინას“ ყოფილი გოლკიპერი ამიერიდან „პარმას“ კარს დაიცავს. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ლუპატელიმ და სებასტიან ფრეიმ ადგილები გაცვალეს.

„ზამთარში ტრავმა მივიღე და, სამწუხაროდ, ამან სერიოზული დაღი დამასვა. იმედია, ფორმას მალე დავიბრუნებ. კონტრაქტს სხვა კლუბებიც მთავაზობდნენ, მაგრამ „პარმა“ სერია A-ში მნიშვნელოვანი და გამორჩეული კლუბია. ყველანაირად ვეცდები, გუნდს სარგებელი მოვუტანო. რაც შეეხება ფრეის, მასთან არანაირი უთანხმოება არ მაქვს. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში“ — განაცხადა ლუპატელიმ.

გიორგი კაკაბაძე

დალმას ახალი ხილი

სტეფან დალმა „ტულუზიდან“ სანტანდერის „რასინგში“ გადაბარგდა და ესპანურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფრანგი ნახევარმცველი ორი წლის წინ „ინტერმა“ „ტოტენჰემს“ ათხოვა, რადგან მილანური გუნდის ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. ლონდონში სტეფან დალმა კარგად ათამაშდა, მაგრამ მერე დროებით მწვრთნელთან, დევიდ პლიტთან იჩხუბა, რის გამოც „მამლებიდან“ გააძევეს.

უკან დაბრუნებული ფეხბურთელი „ინტერმა“ შარშან ერთი წლით „ტულუზს“ დაუთმო. გასული სეზონის ბოლოს იგი დაშავდა და ტრავმა საზაფხულოდ მოუშუშდა.

ფრანგმა ნახევარმცველმა კარიერაში აქამდე შვიდი გუნდი გამოიცვალა, მაგრამ ესპანეთში არ უთამაშია. მისი პრიმერადივიზიონური დებიუტი სანტანდერის „რასინგში“ შედგება.

ვაჟა ხუციშვილი

ნიუ იორკში პელეზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის პრეზენტაცია შედგა. სააგენტო „როიტერის“ კორესპოდენტი ბრაზილიელს შეხვდა და თანამედროვე ფეხბურთის ავან-ჩავანზე დაეკითხა: პელეს კარის ხაზით დაიწყო და მეფულე ფეხბურთელებით დაასრულა საუბარი:

პელე კედლის წინააღმდეგ

„მსაჯებს ხანდახან უჭირთ იმის გარკვევა, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ამბობდნენ, პრობლემას სატელევიზიო გამეორება გადაწყვეტსო, მაგრამ ფეხბურთი ისეთი თამაშია, რომლის წარამარა გაჩერება არ შეიძლება. ფიფას კომიტეტის წევრი ვარ და ამ საკითხზე ფრანც ბეკენბაუერთან და მიშელ პლატინისთან ერთად ხშირად ვკამათობთ. სექტემბერში, პერუში 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სადაც ახალ ტექნოლოგიას გამოვცდით. ბურთში მიკროჩიპი იქნება ჩამაგრებული. კარის ხაზის გადაკვეთისას მსაჯი საგანგებო სამაჯურზე სიგნალს მიიღებს და სადავო აღარაფერი გახდება. ახალმა ტექნოლოგიამ თუ გაამართლა, ალბათ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზეც გამოვიყენებთ.



პელემ თანამედროვე ფეხბურთი დაიწუნა

რაც შეეხება „ცოცხლა კედელს“, მე, როგორც ყოფილ ფორვარდს, ეს წესი არ მომწონს. წარმოიდგინეთ, რომ ცენტრიდან ბურთიანად მირბიხარ, ოთხი კაცი ჩამოიშორე და საჯარიმოში შესვლამდე წაგაქციეს. მერე მსაჯი „ცოცხალ კედელს“ გიმზადებს, არადა, წუთის წინ მეკარესთან პირისპირ უნდა გასულიყავი. ეს ხომ დაცინვაა! რატომ არ შეიძლება ამ წესის შეცვლა? თუ წაგაქცევენ, ჯარიმა სწრაფად უნდა გაითამაშო და არავითარი კედლები საჭირო არაა.

ფეხბურთი ბიზნესად იქცა, რაც ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს. ისინი მხოლოდ ფულზე ფიქრობენ და მდიდარ გუნდებში გადასვლას ლამობენ, რათა ჯიბეები გაისქელონ. ეს ტენდენცია ძალიან მადარდებს. ფიფას დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა ფეხბურთის ნაღდი სახე შეუნარჩუნოს. ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირველესად შენი გუნდი და თამაში უნდა გიყვარდეს“.

ვაჟა ხუციშვილი

გადაიხადეთ ჯერარდი ესიენში!

„ლიონმა“ „ჩელსის“ მიკაელ ესიენის სანაცვლოდ 46 მილიონი ევრო მოსთხოვა — სწორედ ამდენს სთავაზობდა რომან აბრამოვიჩი „ლივერპულს“ სტივენ ჯერარდში. ფრანგულმა კლუბმა რუს მილიარდელს 32 მილიონ ევროზე ხელი აუკრა, „ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ კი სამხრეთ კორეაში, „ეკიპის“ კორესპონდენტს განუცხადა: „მოლაპარაკება კვლავ მიმდინარეობს. ესიენი თუ დარჩება, ჩემპიონთა ლიგის მოგების მეტი შანსი გვექნება, მაგრამ თუ წავა, მაშინ 46 მილიონი ევრო უნდა მივიღოთ, რადგან თავის პოზიციაზე საუკეთესოა. ის სტივენ ჯერარდის ფასი ღირს“.



მიკაელ ესიენი

განელმა ფეხბურთელმა უკვე თქვა, რომ „ლიონში“ დარჩენა აღარ სურს და ჟან-მიშელ ოლასაც არ უნდა გულაყრილი მოთამაშის დატოვება: „მიკაელ ესიენი თავს უგუნებოდ გრძნობს, რაც მთელ გუნდზე მოქმედებს“.

ჟოზე მაურინიუს ნახევარდაცვაში პრობლემა არა აქვს, მაგრამ: „კარგი ფეხბურთელის შეძენაზე უარს არ ვიტყვით. ვიცით, რომ ესიენს „ჩელსიში“ მოუწევს გული და „ლიონთან“ მორიგებას ვცდილობთ. ფული შევთავაზეთ და ახლა მათი გადასაწყვეტია, ჩვენ კი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მოვიცდით“.

ვაჟა ხუციშვილი

პაუნოვიჩი ესპანურ ლაბირინთში

კოლუმბია თუ ფეხბურთელი?

ველიკო პაუნოვიჩი

სერბეთის ნაკრების ფორვარდი ველიკო პაუნოვიჩი „ჰანოვერიდან“ „ხეტაფეში“ გადავიდა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პაუნოვიჩმა „ჰანოვერამდე“ თერთმეტი წელი ესპანეთში გაატარა. 1995-ში ბელგრადის „პარტიზანიდან“ „მარბელაში“ აღმოჩნდა, მერე კი ზედიზედ ოთხი სეზონი მადრიდის „ატლეტიკოში“ ითამაშა.

შემდეგ „მალიორკაში“ გაანათხოვრეს და 1999-ში ისევ ხესუს ხილი ხილს დაუბრუნდა. მადრიდიდან „ოვიედოს“ მიაშურა, მაგრამ 22 მატჩში მხოლოდ ოთხი გოლი მიითვალა და კვლავ „მალიორკას“ შეეკედლა. კუნძულიდან ისევ მადრიდის „ატლეტიკომ“ წაიყვანა და გასულ იანვარში ესპანეთის დედაქალაქიდან ბუნდესლიგის „ჰანოვერში“ ამოჰყო თავი.

პრიმერადივიზიონს მიჩვეულმა ველიკო პაუნოვიჩმა „ჰანოვერში“ დარჩენა იუარა და „ხეტაფეს“ ფეხბურთელი გახდა, რომელსაც ბერნდ შუსტერი წვრთნის.

ვაჟა ხუციშვილი





ლუიშ ფიგუ, ვალტერ სამუელი და მიხაელ ბალაკი მილანის „ინტერმა“ სათავისოდ შეიგულა

ჯადოს ახსნა — მიხაელ ბალაკი
კვირის ბოლოს ფიგუ და სამუელი...

იტალიურ-გერმანული პრესა გვამცნობს, რომ დიდი შანსია, მიხაელ ბალაკმა მომავალ სეზონში „ინტერის“ მაისურა მოირგოს. იმასაც ამბობენ, რომ მხარეებმა უკვე სიტყვიერ შეთანხმებასაც მიაღწიეს და სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებენ. როგორ ჩანს, ბალაკმა საბოლოოდ გადაწყვიტა, „ბაიერნთან“ კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივოს და მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხოს რომელიმე იტალიურ ან ესპანურ გრანდში

„**მიუნხენში** ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ ვფიქრობ, მოვიდა დრო, რომელიმე სხვა დიდ ევროპულ კლუბში გადავიდე. ამის გაკეთება ამბიციისა და ახალი თავგადასავლების განცდის გამო მინდა“ — თქვა ცოტა ხნის წინ გერმანელმა ნახევარმცველმა.

შეგახსენებთ, რომ ბალაკს, რომელიც უკვე ხუთი წელია, „ბაიერნში“ ირიცხება, „ინტერის“ აქამდეც უკავშირდებოდნენ. ვარაუდობენ, რომ იგი ხუან სებასტიან ვერონს შეცვლის. მოგეხსენებათ, არგენტინელი მომავალი სეზონის ბოლოს სამშობლოში დაბრუნებას აპირებს.

ამ ინფორმაციამ ძალიან გაახარა „ნერაძურის“ ქომაგები. მათ კარგად ახსოვთ, რომ ბოლო სკუდეტის მოგებაში 1989 წელს გუნდს ლეგენდარული გერმანელი ლოთარ მათეუსი დაეხმარა და იმედი აქვთ, ამ ერთგვარი ჯადოს ახსნას მათეუსის თანამემამულე შეძლებს.

...მომავალ ზაფხულს „ინტერში“ ეგებ რონალდოც ვიხილოთ. ამაზე დიდი მითქმა-მოთქმაა. ბრაზილიელმა ფორვარდმა მრავალჯერ განაცხადა, დაბრუნებას არ გამოვრიცხავო და ეს „ნერაძურის“ ახალწვეულმა სანტიაგო სოლარიმაც დაადასტურა. უფრო ოპტიმისტები რონალდოს „სან სიროზე“ ამავე ზაფხულს ელიან — თუ „ინტერი“ „რეალის“ დაწოლას ვეღარ გაუძლებს და ადრიანის გაყიდვაზე დაყაბულდება. მილანელები სანაცვლოდ რონალდოსა და გარკვეულ თანხას მოითხოვენო.

სანტიაგო სოლარი: „როდესაც „ინტერში“ მოვდიოდი, რონალდოს აქაურ ატმოსფეროზე ვკითხე. მან მითხრა, ჩინებული ვითარებაა, ნურაფერზე იღელვებო და დაამატა, მეც სიამოვნებით დავბრუნდებოდიო“.

ამის შემდეგ არგენტინელმა თავის შთაბეჭდილებებზე და გეგმებზე ისაუბრა: „ახალწვეულები გუნდს მშვენივრად მოვერგეთ. ყველას მიზანი სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და ბოლომდე დავიხარჯებით. გასულ სეზონში „ინტერი“ საინტერესო და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა. კლუბმა იტალიის თასიც მოიგო, მაგრამ ახლა უფრო შორს მიმავალი გეგმები გვაქვს. ადაპტაციის თვალსაზრისით, ყველაფერი კარგად არის. თანამემამულეებთან ერთად აქამდეც მითამაშია. მალე დავუახლოვდი დავიდ პიზაროს, მასთან ერთადაც ვცხოვრობ“.

ცოტა ხნის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია, კვირის ბოლოსთვის „ინტერი“ საბოლოოდ მიაღწევს მიზანს და „რეალიდან“ კიდევ ორ სასურველ ფეხბურთელს დაიმატებსო. როგორც იცით, საუბარია ლუიშ ფიგუსა და ვალტერ სამუელზე. მხარეები ამჟამად ბოლო დეტალებსღა ათანხმებენ.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ფიგუ „რეალს“ კონტრაქტის გაწყვეტაზე უკვე მოელაპარაკა და „ნერაძურიში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება. იგი კლუბთან სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და სეზონში დაახლოებით 2,5 მილიონ ევროვანქას მიიღებს ხელფასის სახით.

სამუელის საკითხი კი ჯერაც გაურკვეველია. მას მილანელები ან ინათხოვრებენ, ბოლომდე გამოსყიდვის პერსპექტივით, ანაც ახლავე შეიძენენ.

გიორგი ძაძაბაძე

არის თუ არა პასიური თამაშგარე თამაშგარე?
იცოდე კანონი და ისე იკამათე!

... ერთი სიტყვით, ოფსაიდი ანუ თამაშგარე მდგომარეობა — წესი, რომელიც ყოველთვის დიდ კამათს იწვევს, რომლის ინტერპრეტაციებსაც აღარ მოუვიდა ბოლო, რომლის სხვადასხვა დეტალებს ნიადაგ აზუსტებენ და ასხვაფერებენ. არადა, რომელიც ერთი შეხედვით მარტივია... ამ ყველაფერს კი იმიტომ მოგახსენებთ, რომ ახალი სეზონის წინ, მკაფიოდ წარმოვიდგინოთ, თუ რას ეწოდება ოფსაიდი 2005-06 წლების სეზონში, თორემ ეჭვი არ არის, გაგორდება ბურთი და ყოველდღე ატყდება დავა-კამათი, ხანდახან მომენტის სხვადასხვანაირი აღქმის, ხანდახან კი წესის არცოდნის გამო...

მაშ ასე, ჯერ გავიხსენოთ ოფსაიდის ზოგადი და საყოველთაოდ ცნობილი წესი: ფეხბურთელი თამაშს გარეთაა, თუ იგი მეტოქის კარის ხაზთან ბურთსა და ბოლოსწინა მეტოქეზე ახლოსაა. მაგრამ, თუ ასეთი ფეხბურთელი მოედნის ცენტრს უკანაა, ან ბოლოსწინა მეტოქის თუ ბოლო ორი მეტოქის დონეზე დგას, მაშინ ის ოფსაიდში არ არის.

ახლა ვნახოთ, შემდეგი ფეხბურთის წახალისების მიზნით, რა დაამატეს ამ წესს 2003-04 წლების სეზონში: ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში უნდა ჩაითვალოს მაშინ, თუ იმ მომენტში, როდესაც ბურთს ეხება ან ათამაშებს მისი თანაგუნდელი, მსაჯის აზრით ის აქტიურ პოზიციაშია.

სხვა სიტყვებით და საქმეში გარკვეული ადამიანებისთვის რომ ვთქვათ, პასიური თამაშგარე 2003-04 წლების სეზონიდან, თამაშგარე აღარ არის, ხოლო ვინ პასიურ მდგომარეობაშია და ვინ აქტიურში, ანუ აწიოს ალამი თუ არა, ამას თანამსაჯი აფასებს.

მაგრამ ოფსაიდის წესი რის ოფსაიდის წესი იქნებოდა, კამათი რომ არ გამოეწვია და დაზუსტება არ გამხდარიყო საჭირო. თან მსაჯისთვის ამხელა უფლებების მინიჭებამ, ახალი მღელვარების საბაბი მისცა საფეხბურთო მსოფლიოს, ამიტომაც მოახლოებული სეზონის წინ, ფიფამ კიდევ ერთხელ დახვეწა წესი და თავად დააზუსტა, თუ რა შემთხვევები უნდა მიიჩნიოს თანამსაჯმა აქტიურ პოზიციაში ყოფნად ანუ როდის უნდა აწიოს ალამი, და შეაჩეროს თამაში.

ეს შემთხვევებია:

1. თუ ფეხბურთელი, რომელიც ფორმალურად თამაშს გარეთაა დამცველი გუნდის წევრს გზას ულობავს ან თავად შეუძლია ბურთის მოხელთება;

2. თუ იგი მეკარეს მხედველობის კუთხეს უზღუდავს და თუ მომენტი საჯარიმოში მიმდინარეობს, ხოლო ბურთი რომელიმე ძელმა ან მეტოქე მცველმა აისხლიტა და მას მიუვიდა.

რა გამოვა ამ საქმიდან, 2005-06 წლების სეზონი გვაჩვენებს, თუმცა ოფსაიდის გამო, კამათი რომ არასოდეს დასრულდება, ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ.

პაპუნა ძედია

ამხანაგური მატჩი

AFP ლისაბონიდან

ირჟი იაროშიკმა და კლოდ მაკელელემ კარლტონ კოულს „ჩელსიში“ რე-დებიუტი მიულოცეს

დაბრუნება ლონდონში

ბენფიკა (პორტუგალია) 0:1 **ჩელსი** (ინგლისი)

0:1 კ. კოული (43)

ბენფიკა: კიმი (მორეირა 46), პერეირა (ალექსი 46), როჩა (ალკიდესი 63), ანდერსონი, დუშ სანტუში (ტიაგუ გომეში 63), ბეტუ (კარადასი 81), პეტიტი, ჯოვანი (ნუნუ ასისი 46), კარიაკა (კარლიტუში 46), ნუნუ გომეში (მანტორაში 46), სიმაუ (ელიო როკე 63)

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

ჩელსი: ჩეხი (კუდიჩინი 46), პ. ფერეირა, გ. ჯონსონი (ტერი 46), გალასი, დელ ორნო, ტიაგუ მენდეში (გუდიონსენი 46), იაროშიკი (მაკელელე 46), ლამპარდი (ნუნუ მორაიში 78), ჯ. კოული (დაფი 46), კ. კოული (კრესპო 46), რობენი (ელმერი 78)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

მსაჯი: პაულუ პარატი (პორტუგალია)

60 000 მაყურებელი

ასე და ამგვარად, არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო 14-თვიანი განშორების შემდეგ „ჩელსის“ დაუბრუნდა და მშვენივრადაც ითამაშა. საუბარია ლისაბონში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაზე „ბენფიკასა“ და „ჩელსის“ შორის, რომელიც ლონდონელებმა კარლტონ კოულის გოლით 1:0 მოიგეს.

კრესპო, რომლის სატრანსფერო ფასი 16,8 მილიონი გირვანქაა და რომელიც გასულ სეზონში „მილანში“ გახლდათ გაქირავებული, „ბენფიკასთან“ შეხვედრაში მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა. ამბობენ, რომ „ლურჯების“ ქომაგთა დიდ ნაწილს კრესპოს მათი საყვარელი გუნდის შემადგენლობაში გამოჩენისა აღარ სწამდა — არგენტინელმა ხომ „ჩელსის“ მაისურა ბოლოს 2004 წლის მაისში, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში („მონაკოსთან“ 2:2) მოიგო, თუმცა იმ თამაშისგან განსხვავებით, „ბენფიკასთან“ გუშინწინის გაცილებით მწვავე ჩანდა.

ხოლო შეხვედრის ერთადერთი გოლი, გასულ სეზონში „ასტონ ვილაში“ გაქირავებულმა მოთამაშემ, ზემოხსენებულმა კოულმა შეაგდო — იგი ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდია, რომელმაც ამ შემთხვევაში არიენ რობენის ჩაწოდებულ ბურთს მშვიდად და საქმის ცოდნით გაჰკრა თავური. საინტერესოა, რომ ეს გახლდათ ლონდონელთა პირველი შეტევა ლისაბონელთა კარისკენ.

ლონდონელებს არ ჰყავდათ რიკარდუ კარვალიუ და რობერტ ჰუთი, რის გამოც დაცვის ცენტრიში უილიამ გალასის მეწყვილეობა გლენ ჯონსონმა ითავა, თუმცა მეორე ტაიმში მან ფრთაზე, პაულუ ფერეირას პოზიციაზე გადაინაცვლა, ხოლო შუა ალაგი ჯონ ტერის დაუთმო.

პაპუნა კედია

ემირატები დიკს, ავსტრალია ჰიდინკს?

ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი სამუშაოდ არაბეთში წავიდა

არაბეთის გაერთიანებული საამიროების ნაკრების მთავარი მწვრთნელი, როგორც მოსალოდნელი იყო, დიკ ადვოკაატი გახდა. „რეინჯერსის“, „მიონხენგლადბახის“ და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა არაბებთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გახანგრძლივების პერსპექტივით.

ჰოლანდიელი სპეციალისტი თავის ახალ შეგირდებს სავარაუდოდ, 26 ივლისს, შვეიცარიაში ჩაიბარებს. იქ საამიროთა ნაკრებს ეგვიპტესთან, ყატართან და ქუვეითთან ამხანაგური მატჩები ელის.

„დიკ ადვოკაატი კარგი სპეციალისტია და, ცხადია, კმაყოფილნი ვართ. კონტრაქტი ერთწლიანია და თუ დამაკმაყოფილებელ შედეგებს მივიღებთ, მას გავახანგრძლივებთ“ — თქვა საამიროების ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბალედ ბინ ფარისმა.

დიკ ადვოკაატი, რომელმაც ამ პოსტზე აპრილში, ცუდი შედეგების გამო გადაყენებული კიდევ ერთი ჰოლანდიელი, ედ დე მისი შეცვალა, ავსტრალიის ნაკრების შესაძლო თავკაცადაც განიხილებოდა, თუმცა ახლა ოზებს სავარაუდოდ, ასევე მისი თანამემამულე გუს ჰიდინკი ჩაუდგება სათავეში.

ჰიდინკი, რომელიც ახლა თავის „პსვ ეინდჰოვენთან“ ერთად სამხრეთ კორეაში იმყოფება შეკრებაზე, წინასასეზონო ტურნეს კვირის ბოლოსთვის დაასრულებს და ყველაფერი საბოლოოდ ამის მერე გაირკვევა. იგი ავსტრალიელთა წინადადებით დაინტერესებულია და თუ მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ, ალბათ ამ საქმეს წინ აღარაფერი დაუდგება.

შეგახსენებთ, რომ პსვ-სთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ჰიდინკს უფლება აქვს, სანკენო სამუშაოც შეითავსოს, თუმც კლუბის პოზიციასაც გარკვეული მნიშვნელობა ექნება.

ავსტრალიის თავკაცის პოსტზე კი ჰიდინკის გარდა არგენტინელი სპეციალისტის, კარლოს ბილარდოს კანდიდატურასაც განიხილავენ.

გიორგი ძაძაბაძე

მონანიება

კოულს ფელი დაუმატეს



ეშლი კოული

„არსენალის“ მარცხენა მცველმა ეშლი კოულმა კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე გაახანგრძლივა.

მოგეხსენებათ, კოული და „ჩელსი“ გასულ გაზაფხულზე უკანონო მოლაპარაკებაში ამხილეს — ჟოზე მაურინიუ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელის გადაბირებას „არსენალის“ გვერდის ავლით ცდილობდა. ეს ამბავი „გასკდა“ და ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეშლი კოული 100 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

ერთხანს მოღალატე მცველი „არსენალში“ აითვალწუნეს. მერე კი დამნაშავემ მოიბოდიშა და არსენ ვენგერიც მოლბა. 24 წლის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2007-ში უმთავრდებოდა, მაგრამ გუშინ კიდევ ერთი წელი „დაუმატეს“ და 2008-მდე დატოვეს.

„ჩვენ ჩემპიონის ტიტული უნდა დავიბრუნოთ“ — თქვა კოულმა ხელმოწერის შემდეგ.

მაჟა ხუციშვილი

ნორვეგია

I დივიზიონი. XVI ტური

პორს გრენლანდი — ალტა 2:2; ბრინი — სტაბეკი 0:1; ჰიონეფოსი — ფოლო 2:1; კონგსვინგერი — სოგნდალი 3:0; ლოვ ჰამი — მოსი 1:1; მანდალი — ჰიოდი 2:2; სანდეფიორდი — სტრიომსგოდსეტი 2:1. *ტონსბერგი — სკეიდი გადაიდო*

შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

ჰამარბი — ლანდსკრონა 4:0; ჰელსინგბორგი — იორგრიტე 1:0; მალმიო — ჰალმსტადი 2:1; ასირისკა — ჰეკენი 0:1; იურგორდენი — სუნდსვალი 4:0; კალმარი — ელფსბორგი 1:1. *გიოტებორგი — გეფლე ხვალ გაიმართება*

იურგორდენი	14	9	3	2	31:15	30
მალმიო	14	8	2	4	17:13	26
ჰელსინგბორგი	14	8	2	4	22:19	26
გიოტებორგი	13	6	5	2	17:9	23
კალმარი	14	6	5	3	13:9	23
ჰეკენი	14	7	1	6	22:16	22
ელფსბორგი	14	6	4	4	21:19	22
ჰამარბი	14	6	3	5	20:15	21
ჰალმსტადი	14	5	3	6	19:19	18
იორგრიტე	14	4	2	8	16:22	14
გეფლე	13	4	1	8	10:18	13
ლანდსკრონა	14	3	4	7	14:29	13
სუნდსვალი	14	3	2	9	14:26	11
ასირისკა	14	3	1	10	10:17	10

სუპერლიტა

XVI ტური

აიკ — ტრელებორგი 0:0; გაის — ბრომაპოიკარნა 2:2; იოსტერსი — დეგერფორსი 3:1; ატვიდაბერგი — ლიუნგსკილე 0:0; ფრიოლუნდა — ბოდენსი 3:0; ფალკენბერგი — ნორჩიოპინგი 1:1; იორებრო — მიალბი 2:1; ვასტერასი — ვასბი 2:0

ისლანდია

პრემიერლივიზიონი

XI ტური

ფრამი 0:4 რეიკიავიკი

ფილკირი 0:1 თროტური

იაპონია

ჯეი ლიგა

XVII ტური

ნიიგატა — ნაგოია 3:0; კაშიმა — ოიტა 1:1; ტოკიო — იოკოჰამა 4:0; ივატა — ვერდი 6:0; კავაზაკი — სერეზო 3:2; კობე — კაშივა 0:4; ოსაკა — შიმიცუ 3:3; ურავა — ჰირეშიმა 2:0; იჩიჰარა — ომია 2:0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIV ტური

იარო — ჰაკა 0:1; კტპ — ლაჰტი 2:0; ალიანსი — ტურკუ 3:3; კუოპიო — მიუპა 0:3; ტპ-47 — როვანიემი 0:2

მიუპა	14	9	4	1	24:7	31
ჰიკ	14	7	7	0	20:10	28
ჰაკა	14	6	7	1	21:8	25
ინტერი	11	5	5	1	15:3	20
ტამპერე	11	5	4	2	14:9	19
კტპ	14	5	4	5	19:20	19
ალიანსი	13	3	8	2	13:18	17
მარიეჰამნი	13	4	4	5	12:14	16
ტურკუ	13	4	3	6	12:15	15
როვანიემი	15	3	6	6	15:22	15
ლაჰტი	15	4	3	8	19:27	15
კუოპიო	14	4	2	8	15:25	14
ტპ 47	14	2	2	10	9:18	8
იარო	13	1	5	7	4:16	8

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. II ტური

არსენალი — დინამო 0:2; მეტალისტი — კრივბასი 1:0; შახტარი — დნიპრო 2:0; სტალი — ჩერნომორეცი 0:1; ტავრია — ხარკოვი 2:1; ზაკარპატია — მეტალურგი (დ) 0:0; მეტალურგი (ზ) — ვოლინი 0:1; ილიჩევეცი — ვორსკლა 3:2

ტავრია	2	2	0	0	5:2	6
შახტარი	2	2	0	0	3:0	6
მეტალისტი	2	2	0	0	3:0	6
მეტალურგი (დ)	2	1	1	0	5:0	4
დინამო	2	1	1	0	3:1	4
ჩერნომორეცი	2	1	1	0	2:1	4
ვოლინი	2	1	0	1	1:1	3
ილიჩევეცი	2	1	0	1	3:4	3
ზაკარპატია	2	0	2	0	0:0	2
ვორსკლა	2	0	1	1	2:3	1
ხარკოვი	2	0	1	1	2:3	1
კრივბასი	2	0	1	1	1:2	1
მეტალურგი (ზ)	2	0	1	1	1:2	1
არსენალი	2	0	1	1	1:3	1
დნიპრო	2	0	0	2	1:5	0
სტალი	2	0	0	2	0:6	0

ბრაზილია

სერია A. XII ტური

გოიასი — ბრაზილიენსე 1:3; პაისანდუ — კრუზეირო 1:2; პონტე პრეტა — ფიგეირენსე 2:1; ფლუმინენსე — სან კაეტანო 0:1; პარანა — კორინთიანსი 2:3; ატლ. მინეირო — ატლ. პარანენსე 2:3; კურიტიბა — ბოტაფოგო 0:3; ფლამენგო — ვასკუ და გამა 1:0; სანტოსი — სან პაულუ 2:1; ინტერნასიონალი — ფუვენტუდე 5:2; პალმეირასი — ფორტალეზა 1:2

ბონკაკაფის ოქროს თასი 2005

მეოთხე ელფინალი

მეძსიკა 1:2 კოლუმბია

სამხრეთ აფრიკა 1:1დ.დ.(პენ.3:5, 1:1) პანამა

PEACE CUP 2005

A ჯგუფი. II ტური

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 0:0 სოსიედადი (ესპანეთი)

ტოტენჰემი (ინგლისი) 3:1 მამელოდი სანდაუნსი (სამხრეთ აფრიკა)

ტოტენჰემი	2	1	1	0	5:3	4
მამელოდი სანდაუნსი	2	1	0	1	2:3	3
ბოკა ხუნიორსი	2	0	2	0	2:2	2
სოსიედადი	2	0	1	1	0:1	1

კაცი, რომელსაც ფეხბურთი სიამოვნებას არ ანიჭებდა

პილოტი, აკვალანგისტი და მრავალფეროვანი ბატისტუტა

დაახლოებით სამი თვის წინ, სათამაშო კარიერა ოფიციალურად დაასრულა კიდევ ერთმა გამორჩეულმა თავდამსხმელმა, რომელსაც მრავალი ლამაზი გოლი, რეკორდი თუ დასამახსოვრებელი ეპიზოდი ეკუთვნის. ადამიანმა, რომლის ნიჭს ბევრი ინატრებდა. პიროვნებამ, რომელსაც ყველა პატივს სცემდა, სპორტსმენმა, რომელსაც ძეგლი დაუდგეს. ფორვარდმა, რომლის თამაშითაც შეუძლებელი იყო, ფეხბურთის ჭეშმარიტ მოყვარულს სიამოვნება არ მიეღო. ეს გაბრიელ ომარ ბატისტუტაა... ქვემოთ სწორედ 36 წლის არგენტინელთან ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ

— უკვე სამ თვეზე მეტია, რაც ფეხბურთიდან წახვედით. თავს როგორ გრძნობთ?

— მშვენივრად. კარიერის დასრულების შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე ამ საკითხზე ვფიქრობდი, მაგრამ არაფერს ვნანობ. ახლა ისეთი რაღაცეების კეთება შემიძლია, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო: ეს ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ ყოფილა, ყველაფერი წინასწარ გავიაზრე.

— პრესაში კი ბევრი ჭორი ვრცელდება. და მაინც, რა იყო წასვლის ნამდვილი მიზეზი?

— ბოლო პერიოდში ტრავმებს თავი ვერაფრით დავაღწიე. ყოველდღიურად უფრო და უკრო მიჭირდა საკუთარი თავის მოტივირება. ყველაფერი უკვე უსიამოვნო და მოსაწყენი ხდებოდა. ამიტომაც მივიღე გადაწყვეტილება.

— როგორ ფიქრობთ, კარიერის ყატარში დასრულება სწორი გადაწყვეტილება იყო?

— მე და ჩემმა ოჯახმა იქ გატარებული პერიოდით ერთობ ვისიამოვნეთ, ძალიან კარგად გვექცეოდნენ და სანანებელი არაფერია. ყატარში იქამდე არ ვყოფილვარ და მართლა მომეწონა. სრულიად განსხვავებულ კულტურას წავაწყდი. ეს ჩემი შვილებისთვისაც გარკვეული სკოლა გახლდათ, მათ გამოცდილება მიიღეს.

— შეიძლება ვთქვათ, რომ თქვენ პოპულარობამ დაგღალათ?

— სპორტსმენისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია და, სიმართლე გითხრათ, ცოტა მართლაც დავიღალე. ზოგს უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა და პოპულარობისგან მთელი ცხოვრება სიამოვნებას იღებს, მაგრამ ეს არასოდეს მომწონდა. მე უშუალოდ ფეხბურთის თამაში მანიჭებდა სიამოვნებას. მიზნად გოლების გატანას ვისახავდი, ეს იყო ჩემი ცხოვრების წესი. პოპულარობის სურვილი კი არასოდეს მქონია.

— თქვენი სამომავლო გეგმები...

— ამჟამად არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის სამწვრთნელო კურსებს გავდივარ და ძალიან ვცდილობ, კარგად ვისწავლო. ყველაზე მეტად მაინტერესებს, რას სწავლობენ მენეჯერები, რითაც მერე გუნდს ხელმძღვანელობენ, თუმცა ამ პროფილით მუშაობას უახლოეს მომავალში არ ვაპირებ. ვფიქრობ, ჯერ რომელიმე კლუბში ან კომპანიაში ერთ-ერთ პოსტს ჩავიბარებ.

— ალბათ ეროვნულ ნაკრებს სიამოვნებით ჩაუდგებოდით სათავეში...

— ხვალ რომ დამირეკონ და ეს პოსტი შემომთავაზონ, დაუფიქრებლად დავთანხმდები. ასეთი შანსი შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ მოგეცეს. თუმცა, არა მგონია, ეს მოხდეს... სერიოზულად თუ ვიტყვით, ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ ყველაფერს თავისი დროს აქვს და ასეთი გადაწყვეტილების მიღებას კარგად დაფიქრება სჭირდება.

— თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ ფეხბურთის დიდი ქომაგი არ ხართ. ეს ერთგვარი პარადოქსია...

— გეთანხმებით, მაგრამ ფაქტია. თავისუფლად შემიძლია, დრო სხვა რამით გავიყვანო. მაგალითად, დიდ სიამოვნებას ვიღებ კითხვებისგან და სწავლისგან. გარდა ამისა, პროფესიონალი პილოტი ვარ, მაგრამ ძალიან იშვიათად დავფრინავ. თუმც უკმაყოფილების ან ერთგვარი დანაკლისის გრძნობა არ მაქვს. ასევე აკვალანგისტი ვარ და საერთოდ მიყვარს მრავალფეროვნება. ფეხბურთზე კამათიც არ მხიბლავს, რადგანაც ჭეშმარიტების, სიმართლის პოვნა ძალიან ძნელია. ყველაფერი უბრალოდ, შავ-თეთრი როდია, ბევრი გაურკვეველი საკითხია, რომლებზე დავაც დაუსრულებლად შეიძლება.

— არგენტინა 1992 წელს დატოვეთ. არ მოგენატრათ სამშობლო?

— რა თქმა უნდა, სულ მენატრება, იქ ჩემი ოჯახი და მეგობრები არიან. მართალია, დასახლება და ახლობლების გაჩენა არსად გამჭირვებია, მაგრამ სამშობლოს ვერაფერი შეცვლის.

— ცოტა ხნის წინ თქვით, რომ თქვენი კარიერა იმ ხალხზე პირადი გამარჯვება იყო, ვისაც ბატისტუტაში ეჭვი ეპარებოდათ. იქნებ ეს უფრო განგვიმარტოთ?

— იმ ხალხისთვის და მათთან ერთად არასოდეს მითამაშია. ყველა კლუბში ბოლომდე ვიხარჯებოდი და სტადიონზე მოსული ქომაგებისთვის ვთამაშობდი. „ფიორენტინას", „რომასა" და არგენტინის ნაკრების გულშემატკივრების წინაშე დავალებული ვარ. ისინი არნახულ სითბოს გამოხატავდნენ. მე ყოველთვის თავდაუზოგავად ვშრომობდი, რათა რაც შეიძლება, დიდხანს შემენარჩუნებინა ფორმა და ერთ-ერთი საუკეთესო ვყოფილიყავი. სიმართლე გითხრათ, სხვების აზრი ნაკლებად მაღელვებდა.

— თქვენ ყველა სახის გოლი გაგქონდათ, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?

— რთული კითხვაა. ერთის არჩევა გამიჭირდება. ყველა გოლს თავისი ისტორია აქვს, რომელიც ხალხმა არ იცის. ბევრი გოლი, რომელიც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ეგებ სხვისთვის არაფერს ნიშნავდეს. თუმც რამდენიმე ცხადია, განსაკუთრებულად მახსოვს, მათ შორის ეროვნული ნაკრების რიგებში გატანილი.

— ყველაზე მეტად ვისთან ერთად გსიამოვნებდათ თამაში?

— ამ კითხვაზეც გაჭირდება პასუხის გაცემა. ბევრი ნიჭიერი პარტნიორი მყოლია. ძალიან, მანუელ რუი კოსტა, ფერნანდო ტორესი და კიდევ მრავალი სხვა. ალბალბალბოსთან ერთად თამაში ისევ ადვილად მიწევდა, მაგრამ ერიმანეთის თვალდახუჭული კუდებდით მინდორზე კლაუდიო კანიჯასა და დიეგო მარადონას გვერდზეც ვყოფილვარ. აქედან ერთი როგორ ამოვირჩიო?

— გული დაგწყდათ, როდესაც ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე არ წაგიყვანეს?

— ჩემმა მატარებელმა უკვე ნაიარა, უკან ყურება კი არ ძალვარ. რასაკვირველია, ძალიან გამიხარდებოდა, მონაწილეობა რომ მიმეღო და თავსაც არ დავიზოგავდი. თანაც არგენტინის დარ ქვეყნებს ყოველთვის ვქომაგობ, რადგანაც მათ არც ისე დიდი მხარაჭერა აქვთ და თუნდაც რამდენიმე მედლის მოპოვება გმირობას უდრის.

— როგორ ფიქრობთ, რას ეტყვის ხალხი თქვენს შვილებს თავიანთ მამაზე მომავალში?

— წარმოდგენა არა მაქვს. ხოლო თუ სერიოზულად ვიტყვი, ეჭვი მაქვს, რომ მათი მამა კარგი კაცი იყო, ნამდვილი პროფესიონალი, რომელიც ყველა საქმეში ბოლომდე იხარჯებოდა. კარგად თუ დაუფიქრდებით, გოლების რაოდენობა და რეკორდები ნაკლებ მნიშვნელოვანია. მე ამ წარმატებას დიდი შრომის შედეგად ვაღწევდი და ფეხბურთის თამაში კარგად გამოიყენდა. მთავარია, როდესაც ბუკების ლუნიმანზე ჩამოკიდებ, შეგეძლოს, ხალისიანი, თვალებში შეხედო. მე კი ეს შეძლია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— ბოლო დროს გოლფის თამაშიც დაიწყეთ. ალბათ, მოხარული იქნებოდით, რომ ამ სფეროში იმის მეათედი წარმატებისთვის მიგეღწიათ, რომელსაც ფეხბურთში მიაღწიეთ...

— დიახ, ვთამაშობ, თუმცა არც ისე ხშირად, როგორც მსურს. ჩემი საფეხბურთო კარიერა დასრულდა, მაგრამ გოლფით შეიძლება 70 წლამდეც კი ვისიამოვნო. ალბათ, განსხვავება გასაგები. ხოლო ფეხბურთის თამაშისას ბოლომდე ნასიამოვნები და კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ. როდესაც ორ გოლს გავიტანდი, მესამეც მიხდოდა. მუდამ უფრო მეტი მსურდა. ახლა ეს ყველაფერი დამთავრდა და შემიძლია, სასიამოვნო მოგონებებით დავტკბე.

გაბრიელ ბატისტუტა ოჯახს ახლა უფრო მეტ დროს უთმობს

გაბრიელ ბატისტუტამ სახელი „ფიორენტინაში" გაითქვა

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		19 ივლისი						
21:30	1	ტიროლი-რაპიდი	3.20	3.10	2.10	1.57	1.26	1.25
		20 ივლისი						
21:30	2	პაშინგი-რიდი	1.60	3.40	4.90	1.08	1.20	2.00
21:30	3	შტერმი-ადმირა	1.85	3.30	3.85	1.18	1.24	1.77
21:30	4	ავსტრია-გრაცერი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:30	5	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
		ავსტრია. I დივიზიონი						
		22 ივლისი						
21:00	11	ლინცერი-ალტახი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
21:00	12	ავსტრია(ლ)-გრატკორნი	1.40	3.70	6.80	1.01	1.16	2.39
21:00	13	შვანენშტადტი-კაფენბერგი	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31
21:00	14	ლეობენი-კერნტენი	3.10	3.20	2.10	1.57	1.25	1.26
21:00	15	ავსტრია(მ)-კუფშტაინი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		20 ივლისი						
21:30	16	ივერდონი-იანგ ბოისი	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
		22 ივლისი						
21:30	17	თუნი-ბაზელი	2.70	3.00	2.45	1.42	1.28	1.34
		23 ივლისი						
21:30	18	შაფჰაუზენი-ქსამაქსი	2.20	3.00	3.10	1.26	1.28	1.52
21:30	19	აარაუ-სტ.გალენი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
		24 ივლისი						
18:00	20	ციურიხი-გრასჰოპერი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
		რუსეთი						
		20 ივლისი						
15:00	30	ცსკა-ტორპედო	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
		ხორვატია						
		20 ივლისი						
22:00	45	ჰაიდუკი-ოსიეკი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
22:00	47	კამენი-ვარტეკსი	2.20	3.10	2.85	1.28	1.24	1.48
20:00	50	ზაგრები-სლავენი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
		23 ივლისი						
19:30	46	ციბალია-დინამო	4.30	3.40	1.65	1.89	1.19	1.11

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	48	მედიმურიე-ინტერი	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
		დანია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
22:00	56	ესბიერგი-ოდენსე	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
		20 ივლისი						
21:00	57	სილკებორგი-ორჰუსი	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
21:00	58	ოლბორგი-კოპენჰაგენი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:00	59	[illegible]	1.85	3.30	3.90	1.18	1.25	1.78
21:00	60	ჰორსენსი-ვიბორგი	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
22:00	61	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		23 ივლისი						
18:00	68	მოლდე-ბრანი	2.80	3.30	2.30	1.51	1.26	1.35
21:00	69	ვოლერენგა-ჰამარი	1.50	3.70	6.50	1.06	1.21	2.35
		24 ივლისი						
20:00	70	ფრედრიკსტადი-ლინი	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
20:00	71	ტრომსიო-ოდ გრენლანდი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
20:00	72	ბოდიო გლიმტი-ვიკინგი	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
22:15	73	ალესუნდი-რუსენბორგი	5.00	3.90	1.55	2.19	1.18	1.10
		25 ივლისი						
21:00	74	ლილესტრიომი-სტარტი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		20 ივლისი						
21:00	78	გიოტებორგი-გეფლე	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		შვედეთი. სუპერეტა						
		21 ივლისი						
21:00	84	დეგერფორსი-აიკ	4.20	3.50	1.65	1.90	1.18	1.12
		ფინეთი						
		20 ივლისი						
20:00	88	იარო-ტამპერე	3.50	3.30	1.95	1.69	1.25	1.22
		ირლანდია						
		19 ივლისი						
22:45	101	ბოჰემიანი-სტ.პატრიკსი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

აშშ

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	119	კოლამბუსი-ნიუ იორკი	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33
23:45	120	კანზასი-ვაშინგტონი	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49
23:45	121	კოლორადო-სან ხოსე	2.65	3.10	2.35	1.42	1.24	1.33

ბრაზილია

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	130	ინტერნასიონალი-გოიასი	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
23:45	131	სან კაეტანო-პარანა	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
23:45	132	ბოტაფოგო-პონტე პრეტა	2.10	3.10	3.00	1.25	1.23	1.52
23:45	133	ფიგეირენსე-პალმეირასი	2.05	3.00	3.10	1.21	1.23	1.52
23:45	134	ბრაზილენსე-სან პაულუ	2.60	3.10	2.35	1.41	1.23	1.33
23:45	135	სანტოსი-ვასკუ და გამა	1.30	4.20	7.50	1.00	1.10	2.69

21 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	136	კორინთიანსი-პაისანდუ	1.35	3.70	7.50	1.00	1.14	2.47
23:45	137	ფლამენგო-ჟუვენტუდი	2.15	3.00	2.90	1.25	1.23	1.47
23:45	138	კრუზეირი-კურიტიბა	1.65	3.30	4.20	1.10	1.18	1.84

ჩემპიონთა ლიგა

19 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	150	დინამო(თბ)-ლევადია	1.35	3.90	6.50	1.00	1.11	2.43
19:00	151	კაუნასი-ტორშავნი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
23:00	153	ტნს-ლივერპული	13.00	7.50	1.07	4.75	1.00	1.00

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	152	შელბურნი-გლენტორანი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
18:00	154	პიუნიკი-ჰაკა	1.95	3.10	3.35	1.19	1.23	1.61
19:00	155	ზრინსკი-დუდელანჟი	1.15	5.80	12.00	1.00	1.04	3.91
20:00	156	სკონტო-რაბოტნიჩკი	1.95	3.00	3.50	1.18	1.25	1.61
21:30	157	ანორთოსისი-დინამო(მნ)	1.65	3.40	4.30	1.11	1.19	1.89
21:30	158	ტირასპოლი-სლიემა	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
22:00	159	პეტრუალკა-კაირატი	1.25	4.70	8.50	1.00	1.08	3.02
22:30	160	ტირანა-გორიცა	2.10	3.20	2.95	1.26	1.22	1.53
23:15	161	ჰაფნარფიორდური-ნეფჩი	1.80	3.30	3.60	1.16	1.20	1.72

საერთაშორისო ტურნირი კორეა

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	202	ლიონი-პსვ	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45

გერმანია. თასი

23 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	205	ვერდერი-ლევერკუზენი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
20:15	206	ჰერტა-შტუტგარტი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52

რუსეთი. თასი

20 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	207	ზენიტი-ყუბანი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33

ჩოგბურთი კაცები ამერსფურტი

19 ივლისი

			1	2
13:00	401	ვან შეპინკი-ვან გემერდენი	2.00	1.55
13:00	403	ვესელსი-კალატრავა	1.60	2.20
13:00	404	განესკუ-კორტელინგი	1.10	5.50
13:00	407	პუერტა-ტიპსარევიჩი	1.20	3.50
13:00	410	ჰორნა-სლიუტერი	1.35	2.90

ჩოგბურთი კაცები შტუტგარტი

19 ივლისი

			1	2
12:30	412	ვერდასკო-ალმაგრო	1.40	2.80
12:30	414	სტარაჩე-მონფილსი	1.60	2.20
12:30	417	ნიემინენი-ბურგსმიულერი	1.20	3.50
12:30	418	ვასკე-კენნელი	1.60	2.05
12:30	434	კუერტენი-არმანდო	1.35	2.90
12:30	435	საბაუ-ბერლოკი	1.70	1.90
12:30	436	კოსტა ა-ბლანკო	1.20	3.85
12:30	437	შუტლერი-ვისენტე	1.65	1.95

ჩოგბურთი ქალები პალერმო

19 ივლისი

			1	2
14:00	426	ლაგოსტერა-ბონდარენკო	1.40	2.65
14:00	427	მედინა-ხლადკოვა	1.20	3.50
14:00	428	სმაშნოვა-პარა	1.15	3.90
14:00	429	სფარი-ვიერინი	1.60	2.05
14:00	430	ფარინა-პრონკოვა	1.20	3.80
14:00	431	დიას ოლივა-სრებოტნიკი	1.90	1.70
14:00	432	დომაჩოვსკა-პასტიკოვა	1.35	2.85
14:00	433	მარტინესი-სანჩეს ლორენცო	1.65	2.05

ჩოგბურთი კაცები ინდიანაპოლისი

19 ივლისი

			1	2
21:00	438	მორისონი-ბასტლი	1.50	2.50
21:00	439	მიურეი-სარეტა	1.40	3.00
21:00	440	დლოუგი-ბიორკმანი	1.90	1.70
21:00	441	შალკენი-რამი	1.65	2.05
21:00	442	გოლდშტეინი-ფალა	1.65	2.10
21:00	443	დელიჩი-ფიში	1.65	2.10
21:00	444	კარლოვიჩი-კიმი	1.65	2.10
21:00	445	ოკუნი-ევანსი	1.25	3.00
21:00	446	ლაპენტი-ვაშინგტონი	1.35	3.00
21:00	447	ბაგდატისი-დე ჩაუნა	1.35	3.30

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24

ლიუბლიანას ცრემლების სჯერა, ოლიმპიას — არა

ევროგრანდ სიენას ვლადიმერ ბოისა გააძლიერებს

დღესდღეობით ჩვენს ლეგიონერებს თუ ტრავმა არ აწუხებთ, ახალი გუნდის ძიებაში არიან. ერთადერთი გამონაკლისი ვადიმერ ბოისაა, რომელმაც ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ გატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ უპრობლემოდ მოძებნა სასურველი გუნდი და მერე თანაც როგორი...





ვ. ბოისა დოლიდაძისა და ბელის ფოტო

იტალიური „სიენა“ ევროპის წამყვანი კლუბია. რიმინელიც ბოლო წლებში სისტემატიურად გაღის ევროლიგის ოთხეულ ფინალში. ბოისამ „სიენასთან“ კონტრაქტი ივნისის ბოლოს გააგრძელა და მომქანცველი სეზონის შემდეგ დასასვენებლად კუბაში წასვლა გეგმიდელი დღე რომ თენდებოდა, ბოისა უკვე სამშობლოში იყო, თუმც, ალბ. მისი ოფიციალური სამშობლო სლოვენია გახდება. ჯერ ვიცნობ „ლიუბლიანის“ ფეხბურთელ ... ერ ... ეს ინტერვიუ ... .

— განცალკევებული სეზონი საუკეთესო იყო შენს კარიერაში. ხომ მეთანხმება?

— ... ...

ქართული ქართული გორში საჭიდაო დაუკრეს



გორში, სპორტული თამაშების ცენტრალურ დარბაზში დასრულდა საქართველოს 2005 წლის პირადი ჩემპიონატი ტრადიციულ ქართულ ჭიდაობაში. კარგად ორგანიზებულ სანახაობაზე საქართველოს ყველა კუთხის გუნდი მონაწილეობდა. 7 წონით კატეგორიაში 119 მოჭიდავე მოგროვდა და გვარიანი სანახაობაც გაჩაღდა.

ყველაზე უკეთ გორელები გამოვიდნენ. ოთხ წონაში ოქრო სწორედ მათ დარჩათ, ორში კი სულაც გორული სამეულები ვიხილეთ. ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავეც ქართლელი ზვიად ბაზანდარაშვილი (75კგ) გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალში ნეკნი გაუტყდა და ოქროსთვის საჭიდაოდ აღარ გასულა.

ჩემპიონატზე სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც ჩავიდა, ჩემპიონ-პრიზიორებს კი მედლებთან ერთად შპს „კასტელი საქართველოსგან“ დაწესებული ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ოთარ გაღლაკელიძე

62 კგ
1 ილია მჭედლიშვილი (ყვარელი)
2 ზარუბ დილებაშვილი (გორი)
3 ბადრი ბასოშვილი (გურჯაანი)

68 კგ
1 იური ომაძე (გორი)
2 გიორგი მაისურაძე (გორი)
3 კობა მარეხაშვილი (გორი)

75 კგ
1 მალხაზ ოსაძე (ქარელი)
2 ზვიად ბაზანდარაშვილი (გორი)
3 ლევან ზარდიაშვილი (გურჯაანი)

83 კგ
1 დავით კარბელაშვილი (გორი)
2 დავით ჭაბუკაშვილი (გორი)
3 გიორგი ჩაფურიშვილი (ახმეტა)

93 კგ
1 ნიკოლოზ ბიბილაშვილი (გორი)
2 ლევა ჩოხელი (გორი)
3 გიორგი დარძული (რუსთავი)

103 კგ
1 სანდრო მსხალაძე (გორი)
2 იოსებ პავლიაშვილი (გორი)
3 თემურ ბირჩაძე (გორი)

+103 კგ
1 ზვიად ჩინჩალაძე (რუსთავი)
2 დურმიშხან ბერუაშვილი (გორი)
3 ლევან ქინქლაძე (ახმეტა)



სპილბერგის ოლიმპიური ლტოლვა

ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვებისა არ იყოს, დიდი ბრძოლებით გამოირჩევა თავად თამაშების საზეიმო ცერემონიალების დადგმის უფლების მოპოვებაც. ამ მხრივ გამონაკლისი არც პეკინის მომავალი ოლიმპიური თამაშებია. მისი გახსნის საზეიმო ცერემონიალის მთავარი დამდგმელის ადგილს ერთმანეთს, ძირითადად, ორი მეტოქე ეცილება. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ჰოლივუდის მეტრი სტივენ სპილბერგი, რომელიც ახლა თავისი ბოლო ქმნილებით — „სამყაროთა ომებით“ იპყრობს ევროპას, ხოლო მეორე გახლავთ ჩინელი რეჟისორი ჩჟან იმოუ, რომელიც ცნობილია თავისი ფილმებით „წითელი გაოლიანა“ და „გმირი“.

მათ გარდა, რაღა თქმა უნდა, განაცხადები შეიტანეს შოუ ბიზნესის, თეატრისა და კინოს სხვა ცნობილმა მოღვაწეებმა. მათ სახელებს ჯერ არ ამხელენ, თუმცა, ცნობილია, რომ კონკურენტთა შორის არიან ათენის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის ავტორებიც.

პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის დადგმაზე პრეტენზიას აცხადებს ჩინეთის რამდენიმე ფირმაც.

ჩინელები გვპირდებიან, რომ მათი ოლიმპიური თამაშები იქნება „ყველაზე გრანდიოზული, ყველაზე სახალხო და ყველაზე მწვანე“ — ესე იგი, ეკოლოგიურად სუფთა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინეთში პეკინის ოლიმპიური თამაშების მხარდასაჭერად განზრახულია ლატარეის გათამაშება, რაია ძისი რეალიზაციით ოლიმპიადის ორგანიზატორთა ბიუჯეტი შეივსოს

მსგავსი წინადადება პირველად მაშინ გავრცელდა, როცა 2001 წელს პეკინმა ამ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა.

ვარაუდობენ, რომ ლატარიიდან მიღებული შემოსავალი 37 მილიარდ ამერიკულ დოლარს მიაღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობამ პირობა დადო, ჩვენს მოქალაქეთა ჯიბეებს სპონსორად არ გამოვიყენებთო, მან მაინც გადაწყვიტა ლატარიის გათამაშება.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ჩინეთში სპორტული ლატარია ძალზე პოპულარულია. მაგალითად, მხოლოდ წლეულს ამ ექვს თვეში ლატარიამ ჩინეთის ბიუჯეტი 785 მილიონით შეავსო.

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დევისის თასი. ევრო-აფრიკა. II ჯგუფი

ირაკლი ლაბაძემ დაგვაბეჭა



ირაკლი ლაბაძე „ფოტო“

B დივიზიონში დასარჩენად საქართველოს ნაკრებს 15 ივლისს განაში ჩასვლა და იქაურებთან ხუთვაში ჩოგნის ქნევამ რომ მოუწია, ძველი ამბავია და პირველი ორი შეხვედრის ანგარიშებიც გეცოდინებათ. გიუნტერ დარკის ირაკლი ლაბაძემ სამ სეტში იოლად მოუგო, ანრი ავჯი-დარკომ კი ლადო ჩიხლაძესთან შეძლო გამარჯვება.

16-17 ივლისს დანარჩენი სამი მატჩი გაიმართა, თუმცა წვიმამ, რომლის მოსვლაზეც განელი შამანები, როგორც წესი, მთელი წლის განმავლობაში ლოცულობენ, მაინცდამაინც ქართველთა სტუმრობისას ინება მოსვლა და სპორტსმენებს საქმე გაუჯანჯლა. საბოლოოდ მატჩები მაინც ჩატარდა და ყველაფერი ისე დამთავრდა, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა.

წყვილებში ანრი ავჯი-დარკოსა და გიუნტერ დარკის „დუეტს“, ლაბაძე-ჩიხლაძემ ავჯობა და 4 სეტში, 4:6, 6:3, 6:3, 6:4 მოუგო.

შემდეგ ირაკლი ლაბაძემ ანრი ავჯი-დარკო დაიმარტოხელა და ანგარიშით 6:4, 6:3, 6:1 დაამარცხა. ქართველთა B დივიზიონში დარჩენის ამბავიც აქ გადაწყდა და ვინაიდან ჩვენები უკვე 3:1-ს იგებდნენ, ბოლო თამაში ფორმალობადღა იქცა. ირაკლი უშანგიშვილმაც დაწყნარებულ გულზე მასპინძელ სალიფუ მოჰამედთან სამ სეტში 6:4, 5:7, 3:6 წაგო.

ლადო ფულუკიძე

შავი ზღვა უკან იხევს

უმაღლეს დივიზიონ მაკუტის პირველი ქართველი ბინადარი ლევან ცაგურია ნაგოიას ბაშოზე ლიდერის პოზიციებს ნელ-ნელა თმობს. გუშინ მეცხრე ტური გაიმართა და კოკაი მესამედ დამარცხდა. ექსსეკივაკე ტამანოსიმასთან ჩვენებურს მანამდეც უარყოფითი ბალანსი ჰქონდა, ნაგოიური დაჭიდების შემდეგ კი უფრო გაუუარესდა.

ლევანმა მეტოქეს საფირმო ცუპარები (კორპუსში ხელებით შეტევა) ვერ დაუპირისპირა. მიმომხილველთა სიტყვებით, სასტარტო შეტევისას ჩვეულზე მეტად გაშლილა წელში, რითაც ტამანოსიმას მაშინვე უსარგებლია.

დღეს „შავი ზღვის“ წინაშე სეკივაკე კოტომიცუკი დადგება. მართალია, ამ 160-კილოგრამიანმა მთაკაცმა მიმდინარე ბაშოზე, მხოლოდ ოთხჯერ იმარჯვა ხუთი მარცხის წილ, მაგრამ ქართველთან პირად ბრძოლებში აშკარა უპირატესობას ფლობს. აქამდე კოკაი და კოტომიცუკი ერთმანეთს რვაჯერ დასჭიდებიან და შვიდ შემთხვევაში იაპონელს მოუგია.

წინ მყოფთა ჯგუფს კი ერთპიროვნული ლიდერი გამოეყო. 21-ე საუკუნის ერთადერთმა იოკოძუნამ, მონღოლმა ასასიორუმ მცირე წაფორხილების შემდეგ გუშინ თანალიდერ ვაკანოსატოს სძლია და ზურგსუკან მდგომთა სიაში ჩაწერა. ვაკანოსატოს გარდა ორ-ორი წაგება აქვთ ოძეკი კაიოს, კომუსუბი კოოტოსიუსა და დასავლეთის მე-11 მაეგაშირა ტაკამისაკარის.

ოთარ გაღლაკელიძე

რეკლამა
სარგბიელ-ზე
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი

ყველა ნახტომში ოქრო?!

ჩინური სინქრონომეტრი ჩაირთო

AFP მონრეალიდან

ძია ტონი — ჰიუან პეი ლინი

ჩინელები იქნებ საუკეთესონი არ იყვნენ ბურთაობა-თამაშობებში, მაგრამ სპორტის სინქრონულ სახეობებში სამაგალითონი რომ გახლავან, ამაზე სხვადასხვა ჩემპიონატ-ოლიმპიადებზე მათი შედეგებიც მიუთითებს. მონრეალში საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატი ხეირიანად გახსნილიც არ იყო და ჩინელებს ორი ოქრო უკვე ჩამოეკიდათ, უფრო ზუსტად კი ორი წყვილი ოქრო, რომლებიც ქალთა და ვაჟთა „დუეტებმა" წყალში სინქრონულ ხტომაში მოიპოვეს. ვაჟებმა — ვან ფენმა და ჰე ჩონმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან გვარიანი უპირატესობით აჯობეს კონკურენტებს, ქალებმა კი — უფროჩე გოგონებმა — ძია ტონმა და იუან პეი ლინმა 10-მეტრიანი კოშკიდან არ დაუტოვეს შანსი ავსტრალიელებს, მასპინძელ კანადელებს, გერმანელებს, ამერიკელებსა და ყველა დანარჩენს.

მუყაითი ხალხია, შრომა უყვართ და ჩინელი გოგო-ბიჭები სკოლაში მისვლამდე ისე ტრიალებენ დვირსა და ღერძზე... ტანვარჯიში იქით იყოს და როგორ ფიქრობთ, რამდენი წლისანი არიან კოშკიდან ხტომაში გამარჯვებული გოგონები? ძია ტონი 15წლისა გახლავთ, იუან პეი ლინი კი სულაც 14-ისაა ოქროს მედლებით გულდამშვენებული და გახარებული გოგოცუნები ამბობენ, არ მოველოდით ასეთ წარმატებას, ნაკრებში ხომ სულ ორიოდ თვის წინ მოვხვდითო, მაგრამ ასეთ სახეობაში, როგორც წესი, ასაკს დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩინელები, დიდებიც და პატარებიც, ყველას ერთი თავით ჯობიან და ნურც ის გაგვიკვირდება, 3 წლის შემდეგ შინ, პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს მოსავალი ბრინჯაოით ხვავიანად რომ აიღონ. გოგონებს ოდნავადაც არ უნერვიულიათ, ხუთივე სინქრონული ხტომა ფაქტობრივად იდეალურად შეასრულეს და პირველიდან უკანასკნელ რაუნდამდე დამაჯერებლად ლიდერობდნენ.

კოშკიდან წყვილად მხტომელ გოგონებს შორის ჩინელთა მთავარ კონკურენტად ავსტრალიური „დუეტი" ჩაითვლებოდა, რაკი კოშკიდან ინდივიდუალურ ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონი სწორედ ავსტრალიელი შანტელ ნიუბერი გახლავთ, თუმცა მისს ნიუბერიმ ლოდი თორქისთან სინქრონში ჩინელებივით უნაკლოდ ვერ შეასრულა ვარჯიშები და ვერცხლს დასჯერდა.

ბრინჯაო კი მასპინძლებს ერგოთ — მონრეალელები გულიანად ქომაგობდნენ როუზლაინ ფილიონსა და მეგან ბენფიტოს და იმდენი ქნეს, მედალი აალებინეს. კანადელი გოგონები პირველი ნახტომის შემდეგ მხოლოდ მეექვსე ადგილზე იყვნენ, ოთხი სკუპის შემდეგ კი მეოთხეზე, მაგრამ ბოლო ცდა ისე მარჯვედ გამოუვიდათ, მანამდე სულ სამეულში მოტრიალე გერმანულ „დუეტს" მედალი ზედ კისრიდან აცალეს.

ჩინელ ვაჟებზეც ვთქვათ, რომლებიც თანამემამულე გოგონათა დარად პირველიდან ბოლო რაუნდამდე ერთი თავით და ერთი ბრუნით ჯობდნენ ყველას. მათ ჩინეთის დელეგაციის ჟულაბაში მეორე დაგეგმილი ოქროც ჩააჩხრიალეს. ჩინური წყვილის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვან ფენგი ორი წლის წინ ბარსელონაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახლდათ, ახლა კი ოქროც გამოიმუშავა. მას თავმდაბალი კომენტარების მოფიქრებით თავი არც შეუწუხებია, ეგრევე თქვა, ამ საქმეში ჩინელები ყველაზე მაგრები ვართ და ჩვენს ფედერაციას ვუსურვებ, მონრეალში


AFP მონრეალიდან

ვან ფენი — ჰე ჩონი

ყველა ნახტომი ოქროდ დაეფასებინოსო. აი, ასე!

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს მედლების კიდევ ორი კომპლექტი გათამაშდა — ქალებმა და ვაჟებმა ღია წყალში 5 კილომეტრზე გაცურეს და ამ დისციპლინაში ჩინელებს კვარცხლბეკზე ნაღდად არაფერი ესაქმებათ.

კაცებში იმარჯვა გერმანელმა ტომას ლიურცმა, ვინაც ღია წყალში 5 კილომეტრის დაფარვას 51 წუთი და 17,2 წამი დაახარჯა და ფინიშთან ორიოდ მეტრით მიასწრო უახლოეს მდევრებს — 17 წლის ამერიკელ ჩიპ პიტერსონსა და იტალიელ სიმონე ერკოლის.

„ასეთი ტაქტიკა მქონდა არჩეული — ყვება ჩემპიონი — ძალები ბოლო 500 მეტრისთვის შემოვინახე და სწორადაც გავთვალე, რაკი უკანასკნელი 300 მეტრი უძნელესი გამოდგა. მეორე ადგილზე გასული ამერიკელი არ მნებდებოდა და ბოლომდე ჯიუტად მომყვებოდა."

კვლავ ლიურცი:

„ათენის ოლიმპიადაზე 1500 მეტრზე თავისუფალი სტილითაც მიცურია, მაგრამ თავს თევზივით სწორედ ღია წყალში ვგრძნობ. კარგი იქნება თუ ამ სახეობას მომავალ ოლიმპიურ თამაშებში შეიტანენ, რაკი საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს და პოპულარულიცაა."

ქალებში 5-კილომეტრიანი დისტანცია [illegible] რუსმა ლარისა ილჩენკომ, რომელმაც ნახევარი წამით აჯობა ამერიკელ მარგი კიფს და ცოტა მეტით ჰოლანდიელ ედით ვან დიკს.

მონრეალის აუზებში მკლავს იქნევენ წყალბურთელებიც — ქალებიც და ვაჟებიც. 17 ივლისს პირველი ტური მოილიეს სუსტი სქესის ამ გვარიანად ძლიერმა წარმომადგენლებმა და მათ შედეგებსაც აქვე გაახლებთ. ზევით ვთქვით, ჩინელებს ბურთაობა ვერ ეხერხებათ-მეთქი და აგერ, ამის ილუსტრაციაც — ჩინელი წყალბურთელი გოგონები პირწმინდად განადგურდნენ სველი ბურთის ოსტატ უნგრელთაგან და კიდევ მადლობელნი არიან, 4 ბურთის გატანა რომ მოახერხეს. უნგრელმა ქალბატონმა დორა ტესტალტამ ჩინელებს 7 ტყორცნიდან 6 გაუტანა, რიტა დრავუშმა კი 11-დან — 5.

უფრო სამარცხვინოდ იბურთავეს უზბეკებმა, რომლებიც კანადელთა მხურვალე ქომაგობის მოუხედავად 0:18 შეიმუსრნენ რუს დიაცთაგან. ისე, ვერ ვიტყვით, რომ კანადელებს უზბეკთა მხარდაჭერაში ხმები ჩაეხრინწათ, მათი ნამდვილი საქომაგო გუნდი, კანადის ნაკრები ხომ ოლიმპიურ ჩემპიონ იტალიას ხვდებოდა. მასპინძლები პირველი მეოთხედის შემდეგ 3:1 და ცოტა მოგვიანებით 4:1 რომ დაწინაურდნენ, ძაყურებლები სიხარულით ლამის აუზში გადაცვივდნენ. იტალიელები ბევრს ცდილობდნენ, მინიმუმამდეც შეამცირეს სხვაობა, თუმც ამის მეტი ვერა შეძლეს და მსოფლიოს პირველობა მარცხით დაიწყეს.

კოტე ყორშია


AFP მონრეალიდან

5 კილომეტრზე ცურვაში ლარისა ილჩენკომ მეორედ იზეიმა ჩემპიონობა

5 კილომეტრზე მოცურავეთა კვარცხლბეკი:
ჩიპ პიტერსონი, ტომას ლიურცი, სიმონე ერკოლი

ცურვა

17 ივლისი

ღია წყალში ცურვა

კაცები. 5 კმ

1 ტომას ლიურცი (გერმანია)	5.17,2
2 ჩიპ პიტერსონი (აშშ)	51.18,8
3 სიმონე ერკოლი (იტალია)	51.18,9

ქალები. 5 კმ

1 ლარისა ილჩენკო (რუსეთი)	55.40,1
2 მარგი კიფი (აშშ) 55.44,3	
3 ედით ვან დიკი (ჰოლანდია)	55.46,6

წყალში ხტომა

კაცები. სინქრონული ხტომა. 3 მ ტრამპლინი

1 ვან ფენი/ჰე ჩონი (ჩინეთი)
2 ტობიას შელენბერგი/ანდრეას ველსი (გერმანია)
3 ჯასტინ დიუმა/ტროი დიუმა (აშშ)

ქალები. სინქრონული ხტომა. 10 მ კოშკი

1 ძია ტონი/იუან პეი ლინი (ჩინეთი)
2 ლოდი თორქი/შანტელ ნიუბერი (ავსტრალია)
3 როუზლაინ ფილიონი/მეგან ბენფიტო (კანადა)

წყალბურთი

ქალები. ჯგუფური ეტაპი

A ჯგუფი

ვენესუელა 6:6 კუბა
კანადა 8:7 იტალია

B ჯგუფი

უნგრეთი 18:4 ჩინეთი
ესპანეთი 6:6 აშშ

C ჯგუფი

რუსეთი 18:0 უზბეკეთი
საბერძნეთი 9:4 ახ. ზელანდია

D ჯგუფი

ავსტრალია 15:2 გერმანია
ჰოლანდია 7:6 ბრაზილია

დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

IX ტური

პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	0,5:0,5	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	1:0	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)
ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	0,5:0,5	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	პეტერ ლეკო (უნგრეთი)

ნილსენი ფსკერზე დარჩა, ნაიდიჩი — წვერზე



გამარჯვებულმა არკადი ნაიდიჩმა ტურნირის ბოლოს ინტერვიუსთვისაც მოიცალა

გერმანელი დიდოსტატი არკადი ნაიდიჩი დორტმუნდის 33-ე სუპერტურნირის გამარჯვებული გახდა. შეჯიბრის წინ ამას ვერავინ იფიქრებდა. ტურნირის დაწყებამდე ნაიდიჩის თვით თანამემამულე გერმანელებს არ სჯეროდათ და მოგებაზე ყველაზე მეტი, 50-იანი „კუში" ეწერა. მიუხედავად ასეთი პროგნოზებისა, ნაიდიჩს მშობლიურ კედლებში თავი არ შეურცხვენია და 5,5 ქულით პირველ ადგილსაც დამსახურებულად დაეუფლა.

დაძაბული გამოდგა ბოლო ტური. ნაიდიჩი ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ პეტერ სვიდლერს შავი ფიგურებით დაუპირისპირდა და წაგების შემთხვევაში პირველ ადგილს კარგავდა.

სვიდლერმა პარტია აქტიურად დაიწყო, მსუბუქი ფიგურები წინ გამოუშვა და იერიშის განსახორციელებლად მოემზადა. ნაიდიჩი მალევე ჩასწვდა რუსის გეგმებს, დაცვაში ჭკვიანურად ითამაშა, მტერი თავის სამფლობელოს არ გააკარა და 21-ე სვლაზე მოგების ტოლფასი ყაიმით დაასრულა პარტია.

მეორე ადგილზე ერთბაშად ოთხი დიდოსტატი გავიდა, თუმც დამატებითი მაჩვენებლებით მათ შორის პირველობა ტურნირის ყოფილ ფავორიტ ვესელინ ტოპალოვს ერგო. ბულგარელმა სტომატოლოგმა ბოლო ტურში პეტერ ლეკო შემუსრა. მოჭადრაკეებმა სიცილიური პარტია გაითამაშეს და 106 სვლა სდიეს ერთმანეთს.

ბოლო ადგილზე პეტერ ჰაინე ნილსენი გავიდა. დანიელმა მოჭადრაკემ თავიდან კარგად დაიწყო თამაში და საწყის ტურებში ლიდერობდა კიდეც გათამაშებას, თუმც შემდეგ თანდათან მოეშვა და საბოლოოდ ცხრილის ფსკერზე დარჩა.

ლაშა გეგეჭკორი



სვიდლერი და ნაიდიჩი 21-ე სვლაზე დაზავდნენ

1	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	5,5
2	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	5
3	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	5
4	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	5
5	პეტერ სვიდლერი (.'უსეთი)	5
6	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	4,5
7	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	4,5
8	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	4
9	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	3,5
10	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	3

№5 მკერდი

ანას საგვარეულო ღირსება და სიამაყე

ყოფილი ფიგურული მოციგურავე რომან კოსტმაროვის პარტნიორი ანა სემიონოვიჩი, რომელიც ახლა ჯგუფ „ბლესტიაშის" სოლისტია, რუსეთის სამამულო ესტრადაზე ყველაზე ძვირფასი ბიუსტის მფლობელად ითვლება. ხუმრობა ხომ არაა, მისი მკერდი 5 ზომაა, ამას წინათ კი ახალი კლიპის გადაღებისას მას საცურაო კოსტიუმიც კი გაუწყდა და დედიშობილა დარჩა.

ერთ დროს ანა სემიონოვიჩი თავის მეწყვილესთან ერთად, რომლებსაც სახელგანთქმული ნატალია ლინიჩუკი ავარჯიშებდა, რუსეთში ყინულზე ცეკვაში ირინა ლობაჩევასა და ილია ავერბუხის შემდეგ მეორე „დუეტად" ითვლებოდა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში ანა თავის პარტნიორთან ერთად დამაჯერებლად შედიოდა 6 უძლიერეს შორის. პრობლემა მხოლოდ ერთი იყო, რასაც ანას თავისი ეგზომ არსებითი და მნიშვნელოვანი „ბალასტი" უქმნიდა.

„მე რომ ერთეულთა თანრიგში მეასპარეზა, შესაძლოა, მეტი პრობლემები მქონოდა, — ამბობს ყოფილი სპორტსმენი. — იქ რაც შეიძლება მაღლა და ბევრი უნდა იხტუნო. ცეკვებში კი უბრალოდ ლამაზად სრიალია საჭირო. ამასთან, 15 წლამდე პატარა მკერდი მქონდა. თექვსმეტი წლისამ წვენებით გაჭყიპვა დავიწყე. ამის მერე უკვე კორსეტით მიწევდა გამოსვლა. საერთოდ კი ბიუსტი ჩვენი საგვარეულო ღირსება და სიამაყეა, რაც დედისგან მივიღე მემკვიდრეობით.

სილიკონზე საუბრები ძალიან მაღიზიანებდა. ჰოდა, ამ ცოტა ხნის წინათ გადავწყვიტე, რომ ერთი კაცთა ჟურნალისთვის გამეხადა და შიშველს მეპოზიორა, რათა ამ თემისთვის ერთხელ და სამუდამოდ დამესვა წერტილი.

ავტორბოლა

მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

IX ეტაპი. არგენტინა. 340,8 კმ

ლოებს ვეღარ აჩერებენ

ლოებმა (მარჯვნივ) და ელენამ საშვილიშვილო რეკორდი დაამყარეს

AFP კორპორაციიდან

წლევანდელი ჩემპიონატის გმირებმა, ფრანგმა მძღოლმა სებასტიენ ლოებმა და მონაკოელმა შტურმანმა დანიელ ელენამ უნიკალური სარალო რეკორდები დაამყარეს — სეზონში მეშვიდე ეტაპი მოიგეს, აქედან ექვსი მიყოლებით.

არგენტინაში, ისევე, როგორც წინა რბოლებში, მათი საათივით აწყობილი „სიტროენ-ქსარა" უნაკლოდ მუშაობდა. არც „მიშლენის" ზუსტად შერჩეულმა საბურავებმა უმტყუნეს ნაწვიმარ, ალაგ-ალაგ კი მოყინულ გზებზე. სამხრეთ ნახევარსფეროში ახლა შუა ზამთარია და ეკიპაჟებსაც ლამის ნულოვან ტემპერატურისას მოუწიათ ჯირითი ყველა ეტაპს შორის ყველაზე მაღლა — ზღვის დონიდან 2200 მეტრზე.

31 წლის ლოებმა თავიდანვე „შეუბერა", საწყისი რვა ჩქაროსნული უბნიდან ექვსზე ყველას აჯობა და მდევრებთან იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ პრაქტიკულად პირველივე დღეს გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა. თანაც სამუხრუჭე-საბორბლე პრობლემები გაუჩნდა პეტერ სოლბერგს, რომელიც ლიდერს ნახევარი წუთით ჩამორჩებოდა და საბოლოოდ მეორე ადგილიც დაკარგა.

სები დაფეთებული ქოლოსიან კანალამ ხიფათს გადაეყარა. ერთ-ერთი „ბრმა" მოსახვევის შემდეგ გზაზე ძროხა აღმოჩნდა და ლოებმა ძლივს მოახერხა, მანქანა პირუტყვისთვის აეცილებინა.

არგენტინის რალით დაიწყო ათთვიანი მარათონული სეზონის მეორე ნახევარი და წარმოუდგენელია, დარჩენილ შვიდ ეტაპზე ლოებ-ელენამ ვეებერთელა, 27-ქულიანი უპირატესობა გაფლანგოს.

ორრბოლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ფრანსუა დიუვალი. საწყის ექვს ეტაპზე უსახური შედეგისა (5 ქულა, XIII ადგილი) და სამი უმძიმესი ავარიის გამო, „სიტროენის" ხელმძღვანელობამ 24 წლის ბელგიელი დროებით ჩამოაშორა საჭეს.

დიუვალი, რომელსაც ახალი თანამემამულე თანამძღოლი სვენ სმიტსი ჰყავს, გასაგები მორალური ტრავმის შემდეგ მეშვიდე ადგილით უკმაყოფილო არ უნდა იყოს

გია ახალაძე

რბოლის შედეგები

1	სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი)	3სთ; 55.36,4
2	მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო)	ჩამორჩა 26,1
3	პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ)	1.05,3
4	ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი)	2.38,0
5	ჰარი როვანპერა (ფინეთი, მიცუბისი)	2.43,6
6	მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო)	4.22,2
7	ფრანსუა დიუვალი (ბელგია, სიტროენი)	5.29,1
8	მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი)	5.42,9

საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 75 ქულა; 2 პ. სოლბერგი — მილსი 48; 3 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 45; 4 გარდმაისტერი — ჰონკანენი 44; 5 მარტინი — პარკი 42; 6 როვანპერა — პიეტილაინენი 20; 7 შტოლი — მინორი 12; 8 საინსი — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 11; 9 კრესტა — მოჟნი (ჩეხეთი, ფორდი) 10; 10 ჰ. სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 9

კონსტრუქტორთა თასი

სიტროენი 96 ქულა, პეჟო 90, ფორდი 62, სუბარუ 54, მიცუბისი 41, შკოდა 8

იმის იქით გავიდა



ერთი თვეც და, სტამბოლი ფორმულა 1-ის პირველ თურქულ დიდ პრიზს ჩაბარებს. სქოთი დევიდ კულტჰარდი კი ჩაჯდა თავის „რედბულში“ და სტამბოლის ქუჩებში გაქროლ-გამოქროლდა, თან ბოსფორზე გადაკიდებულ ხიდზეც გაიარა და იმის იქითაც გავიდა.



AFP სტამბოლიდან



სურა მეათე



AFP სენტ ენდრიუსიდან

ბრიტიშ ოუფენის მთავარ ჯილდოდ დათქმული ეს მოვერცხლილი სურა მეათე მეიჯორ-პრიზი გახლავთ, რომელიც ტაიგერ ვუდსს კარიერაში შეუმართავს. 10 მეიჯორი გვარიანი შედეგია, თანაც ბრიტიშ ოუფენი რაიმე გაქუცული ტურნირი არ გეგონოთ, დაარსების დღიდან 134-ჯერ გამართულა.

გადაშვება ვოლფგანგში

მთაგორიანი ავსტრია. ულამაზესი ტბა ვოლფგანგი. მისი მოსარკული ზედაპირიდან 27 მეტრის სიმაღლეზე გადებული ფიცარნაგიდან გადაშვებულ რუს სერგეი ზოტინს უკან კიდევ არაერთი მისებრ თავზეხელაღებული მიჰყვება.



AFP სენტ გილგენიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კალაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge